თარგმნა ლოლა ქადაგიშვილმა

ჯოელ ჭარისი

ბიძია რიმუსის ზღაპრები

ძმობილი მელია და ძმობილი კურდღელი

ერთ საღამოს დედა დიდხანს ეძებდა თავის ბიჭს, ჯოელს, მაგრამ ვერც სახლში ნახა, ვერც ეზოში. უცბად ბიძია რიმუსის ქოხიდან ხმა შემოესმა. შეიხედა ფანჯრიდან და დაინახა, რომ ბიჭი გვერდით მოსჯდომოდა მოხუცს, თავი მხარზე მიედო და თვალებგაფართოებული უსმენდა.

ბერიკაცი კი უყვებოდა:

— სდია და სდია ძმობილმა მელიამ ძმობილ კურდღელს, კარგა ხანს სდია, ცდილობდა როგორმე დაეჭირა, მაგრამ კურდღელიც ათასნაირად ცდილობდა, რომ მელიას ვერ დაეჭირა.

— ჯანდაბამდის გზა გქონიაო, — თქვა ბოლოს მელიამ. სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გაიხედა და რას ხედავს: გზაზე ჩამრგვალებულ-ჩასუქებული კურდღელი გამოხტა და სკუპ-სკუპით მოკურცხლა.

— შენ ეი, ძმობილო, მოიცადე ცოტა ხანსო! — დაუძახა მელიამ.

— არა მცალია, ძმობილოო!

— შენთან საუბარი მწყურია, ძმობილო კურდღელოო!

— კარგი, მხოლოდ ახლოს არ მოხვიდე, სადაც დგახარ, იქიდან მელაპარაკე, რწყილი მასევიაო! — გააფრთხილა კურდღელმა.

— გუშინ ძმობილი დათვი შემხვდა და ისეთი დღე დამაწია, კუდით ქვა მასროლინა: შენ და კურდღელი რატომ ვერა რიგდებითო, მეზობლები ხართ და ტკბილად უნდა ცხოვრობდეთო. მეც შევპირდი, რომ შენ მოგელაპარაკებოდიო, — უთხრა მელიამ.

კურდღელს ვითომ ძალიან გაუხარდა, კეფა მოიქექა და ეუბნება:

— ძალიან კარგი, ძმობილო. ხვალ ჩემთან გამოიარე, ერთად ვისადილოთ. მართალია, ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ ჩემი ცოლი და შვილები მაინც გამონახავენ რამეს, რომ გაგიმასპინძლდნენო.

— დიდი სიამოვნებითო, — დაეთანხმა მელია.

— აბა, გელოდებიო, — უთხრა კურდღელმა.

დაღონებულ-დასევდიანებული მივიდა შინ კურდღელი.

— რა დაგემართა, კაცო, — ეკითხება ცოლი.

— რა და, ძმობილმა მელიამ მითხრა, ხვალ სტუმრად გეწვევითო. ფხიზლად უნდა ვიყოთ, მოუმზადებლებს არ დაგვატყდეს თავსო, — ეუბნება კურდღელი.

მეორე დღეს ძამია კურდღელი და მისი ცოლი დილაადრიან ადგნენ, ბოსტანში წავიდნენ, წამოიღეს კომბოსტო, სტაფილო, სატაცური და დიდებული სადილი გაამზადეს.

უცბად ერთ-ერთი ბაჭია, რომელიც ეზოში თამაშობდა, ყვირილით გაქანდა დედისკენ:

— ვაიმე, დედი, ბიძია მელია მოდისო!

მამამ სწრაფად წამოკრიფა თავისი შვილები და დასხა, თვითონ და მისი ცოლი კი კართან გაჩერდნენ მელიას მოლოდინში.

ელოდნენ, ელოდნენ, მაგრამ მელია არ გამოჩნდა.

ცოტა ხნის მერე კურდღელმა ფრთხილად გაიხედა გარეთ. გაიხედა და სახლის კუთხეში მელიას კუდის წვერს მოჰკრა თვალი. მაშინვე დაკეტა კარი, დაჯდა, თათები ყურებს უკან შემოიწყო და დაამღერა:

სადაც ბაღ-ბოსტანია,
იქ კომბოსტოც ბევრია.
სადაც მელის კუდია,
იქ იქნება მელიაც.

დაამთავრა სიმღერა, შემოუსხდნენ სუფრას კურდღელი და მისი ცოლ-შვილი და ისე ისადილეს, მელია არ გამოჩენილა. მერე კი ძამია ზღარბი მოვიდა და კურდღელს უთხრა:

— ძმობილი მელია ბოდიშს იხდის: შეუძლოდ გავხდი და ამიტომ ვერ მოვედიო. ძალიან გთხოვს, ხვალ სადილად მეწვიეო.

მზე კარგა შემაღლებულიყო, როცა კურდღელი წამოხტა და მელიას სახლისკენ გაიქცა. რომ მიირბინა, ვიღაცის კვნესა შემოესმა. ოთახში შეიხედა და დაინახა, რომ მელია თივთიკის საბანში გახვეულა, ჩამჯდარა სავარძელში და ძალზე მისუსტებული გამოიყურება.

მაგიდაზე კი ჯამისა და ბასრი დანის მეტი არაფერი იყო. რა სადილი, რის სადილი!

— ძმობილო მელიავ, სადილად ქათამი ხომ არა გაქვსო? — ეკითხება კურდღელი.

— დიახ, ძმობილო, თანაც ვარიაააო! — უთხრა მელიამ.

კურდღელმა გადაისვა ულვაშებზე თათი და ეუბნება:

— ძმობილო, კერძი უკამოდ ხომ არ მოგიმზადებია? ქათმის კერძს თუ კამა არა აქვს, ისე, რაღაცა, ვერა ვჭამო.

გახტა კარში კურდღელი, შევარდა ბუჩქებში, ჩაჯდა და მელიას დაელოდა.

დიდხანს ცდა არ დასჭირვებია, რადგანაც მელიამ მაშინვე გადაიძრო თივთიკის საბანი და გამოეკიდა.

კურდღელმა დაუძახა:

— ჰეი, ძმობილო! კამა, აგე, მანდ დავაწყვე, კუნძზე, მალე წაიღე, არ დაგიჭკნესო! — და მოკურცხლა.

მელიამ, რა თქმა უნდა, იგი ვერ დაიჭირა.

ფ ი ს ი ს კ ა ც უ ნ ა

როგორ, ბიძია რიმუს, ვერც ერთხელ ვერ დაიჭირა მელიამ კურდღელი? — იკითხა ჯოელმა მეორე საღამოს.

— რამდენჯერმე კინაღამ დაიჭირა კიდეც. გახსოვს, როგორ გაასულელა კურდღელმა: უკამოდ ქათმის კერძს ვერ შევექცევიო?

ამ ამბის მერე ერთხელ მელია სასეირნოდ წავიდა. სეირნობისას ფისი შეაგროვა, თოჯინა გამოძერწა. მერე აიღო ეს კაცუნა და გზის პირას დასვა, თვითონ კი ბუჩქებში დაიმალა. დაიმალა თუ არა, გაიხედა და დაინახა, რომ გზაზე კურდღელი მოცუნცულებს: სკუპ-სკუპ, სკუპ-სკუპ.

მელია გაინაბა. კურდღელმა ფისის კაცუნას თვალი რომ მოჰკრა, ისე გაუკვირდა, უკანა თათებზედაც კი შედგა, მაგრამ კაცუნა არც განძრეულა, მელიაც განაბული იყო.

— დილა მშვიდობისა! რა კარგი ამინდია დღეს, არა? — მიესალმა კურდღელი კაცუნას.

ფისის კაცუნას ხმა არ ამოუღია, მელიაც განაბული იყო.

— რას გაჩუმებულხარ? — ეკითხება კურდღელი კაცუნას. მელიამ მხოლოდ თვალები დაახამხამა, კაცუნას კი არაფერი უთქვამს.

— შენ რა, ხომ არ დაყრუვდი? — განაგრძო კურდღელმა. — თუ დაყრუვდი, უფრო ხმამაღლა დაგელაპარაკებიო!

კაცუნა ისევ ხმას არ იღებდა, მელია კი განაბული იყო.

— ხეპრე ხარ და მეტი არაფერი, მე შენ გასწავლი ჭკუასო! — დაემუქრა კურდღელი.

მელია კინაღამ გაიგუდა სიცილისაგან, კაცუნას კი არც ახლა ამოუღია ხმა.

— როცა გეკითხებიან, უნდა უპასუხო, ახლავე მოიხადე ქუდი და მომესალმე, თორემ გიჩვენებ სეირსო! — დაუცაცხანა კურდღელმა კაცუნას.

კაცუნას ისევ ხმა არ ამოუღია, მელია კი ისევ განაბული იჯდა.

გადახტა კურდღელი უკან, მოიქნია თათი და სტკიცა კაცუნას თავში.

სტკიცა თავში და თათი კაცუნას მიეწება. ისე მაგრად მიეწება ფისს, რომ ვერაფრით ვერ მოაძრობდით.

კაცუნა კი ისევ ჩუმად იყო და მელიაც განაბული მისჩერებოდა.

— გამიშვი ახლავე, თორემ გაგარტყამო! — დაიძახა კურდღელმა, შემოსცხო მეორე თათიც და ისიც ზედ მიეწება.

კაცუნა ისევ კრინტს არა ძრავდა, მელიაც განაბული იყო.

— გამიშვი, თორემ ძვალსა და რბილს გაგიერთიანებო! — გაჯავრდა კურდღელი.

მაგრამ კაცუნას არაფერი უთქვამს, მელია კი განაბული იყო.

კურდღელმა ახლა წიხლები უთავაზა კაცუნას, მაგრამ ფეხებიც ზედ მიეწება.

მელია კი ისევ განაბული იჯდა.

კურდღელი აყვირდა:

— გამიშვი, თორემ თავს დაგარტყამო!

დაარტყა თავი და თავიც ზედ მიეწება. მაშინ კი გამოხტა მელია ბუჩქებიდან და:

— როგორა ხარ, ძმობილო? — ეკითხება კურდღელს, — რატომ არ მესალმებიო?

მელია სიცილისაგან ძირს გაგორდა. იმდენი იცინა, კინაღამ მოკვდა სიცილით.

— დღეს კი ნამდვილად ერთად ვისადილებთ, ძმობილო, კამაც მოვიმარაგე, ისე რომ, თავს ვეღარ დაიძვრენო! — უთხრა კურდღელს.

... ბიძია რიმუსი გაჩუმდა და ნაცრიდან კარტოფილი გამოიღო.

— შეჭამა მელიამ კურდღელი? — ჰკითხა ბიჭუნამ ბიძია რიმუსს.

— რა ვიცი, — უპასუხა მოხუცმა. — ზღაპარი კი დამთავრდა და, ზოგი ამბობს: ძმობილი დათვი მივიდა და იმან დაიხსნაო, ზოგი ამბობს — არაო. გესმის? დედა გეძახის, გაიქეცი, ბიძიკო.

გულადი ოპოსუმი

ერთ ღამეს, — დაიწყო ბიძია რიმუსმა და ბიჭუნა მუხლებზე დაისვა, — ერთ ღამეს ოპოსუმმა ენოტთან შეიარა. დასხდნენ ორივენი და ერთი დიდი ჯამი მოშუშული სტაფილო მიირთვეს, მერე თითო სიგარა გააბოლეს და სასეირნოდ წავიდნენ: გავიაროთ, ვნახოთ, როგორ არიან ჩვენი მეზობლებიო.

ენოტი ძუნძულ-ძუნძულით მიდიოდა, ოპოსუმი — სკუპ-სკუპითა და ხტუნაობით.

ოპოსუმმა ფინიკის ჭამით კინაღამ კუჭი გაიხეთქა, ენოტმა კი ბაყაყებისა და თავკომბალების ყლაპვით იჯერა გული.

კარგა ხანს ისეირნეს ასე. უეცრად ტყიდან ძაღლის ხმა შემოესმათ.

— რა უნდა ვქნათ, ძმობილო, უცბად რომ გვეცესო? — ჰკითხა ენოტმა ოპოსუმს.

ოპოსუმმა ჩაიცინა:

— ნუ გეშინია, ძმობილო, შენს თავს არ დავაჩაგვრინებ. შენ რაღას იზამო?

— ვინ? მე? ერთი სცადოს და მობრძანდეს, სათითაოდ ჩავუმტვრევ ნეკნებსო! — უპასუხა ენოტმა.

ძაღლმა დაინახა ორივე, არც აცია, არც აცხელა, და ეცა.

ოპოსუმმა იმწამსვე დაკრიჭა კბილები და ზურგზე გადაკოტრიალდა, ვითომ მკვდარი იყო.

ენოტი კი ჩხუბის ოსტატი გახლდათ: მოიგდო ქვეშ ძაღლი და დაუწყო წეწვაგლეჯა. ცოცხალმკვდარი ძაღლი ძლივს გამოექცა და ტყვიასავით შევარდა ტყეში.

ენოტმა უკვე გაიბერტყა ტანსაცმელი, გაისწორა კიდეც, ოპოსუმი კი ისევ მკვდარივით იწვა. მერე ფრთხილად წამოდგა, მიიხედ-მოიხედა და ისე მოკურცხლა, ქუსლებს კისერში ირტყამდა.

ხოლო შემდეგ, როცა ოპოსუმი და ენოტი ერთმანეთს შეხვდნენ, ოპოსუმი მიესალმა:

— გამარჯობა, ძმობილო, როგორა ხარო?

მაგრამ ენოტმა ჯიბეებში ჩაიწყო ხელები, — მისალმება არ უნდოდა.

— რა განზე იხედები, რა დაგემართა, ძმობილოო? — ჰკითხა ოპოსუმმა.

— მხდალებთან ლაპარაკიც კი არა მსურს, წადი, შენი გზით იარეო! — უპასუხა ენოტმა.

ოპოსუმმა ისე იწყინა, მტრისას!

— ვინ არის მხდალიო!

— ვინ და, შენ, რა თქმა უნდა! სულაც არ მჭირდება ისეთი მეგობრები, რომლებიც ჩხუბის დაწყებისთანავე ზურგზე დაეცემიან და თავს მოიმკვდარუნებენო! უთხრა ენოტმა.

ოპოსუმმა ამ სიტყვებზე ერთი სიცილ-ხარხარი ატეხა:

— ძმობილო, ნუთუ ფიქრობ, რომ ეს შიშისაგან ჩავიდინე? ხომ არ გგონია, რომ იმ საცოდავი ქოფაკისა შემეშინდა? რატომ უნდა შემშინებოდა? ხომ ვიცოდი, რომ მე თუ ვერ მოვერეოდი, შენ გაუსწორდებოდი საკადრისად! ისე, უბრალოდ, ვიწექი და გიყურებდი, როგორ წეწავდი, და ჩემს რიგს ვუცდიდიო.

მაგრამ ენოტმა შუბლი შეიკრა:

— ეგ საკენკი შენს წიწილებს დაუყარე, ძმობილო, როგორც კი ძაღლი შეგეხო, მაშინვე გადაკოტრიალდი და თავი მოიმკვდარუნეო!

— ხომ გეუბნები, ძმობილო, რომ სულაც შიშისაგან არ დამმართია ასე. ქვეყნიერებაზე ერთადერთი რამისა მეშინია — ღიტინისა. ჰოდა, ძაღლი რომ დამეტაკა ცხვირით ნეკნებში, გამეცინა და ისე ამიტანა სიცილმა, აღარც ხელის განძრევა შემეძლო, აღარც ფეხისა. იმისი ბედი, რომ ღიტინისა მეშინია, თორემ ერთი წუთიც და... ნაფლე-

თებად ვაქცევდი! არავითარი ჩხუბისა არ მეშინია, ძმობილო, მაგრამ ღიტინი სხვა ამბავია. ვისთანაც გინდა, იმასთან ვიჩხუბებ, ოღონდ ნუ შემიღიტინებენო.

— იმ დღიდან, — განაგრძო ბიძია რიმუსმა, — ასე ეშინია ოპოსუმს ღიტინისა: შეეხები თუ არა ნეკნებშუა — იმწამს გაგორდება ზურგზე და იცინის, იცინის, ისე იცინის, ვეღარც ხელს ამოძრავებს და ვეღარც ფეხს.

როგორ მოატყუა კურდღელმა მელია

ერთ საღამოს, როცა ბიძია რიმუსი მოცლით იჯდა, ჯოელმა ჰკითხა:

— ბიძია რიმუს, მელიამ რომ კურდღელი დაიჭირა ფისის კაცუნათი, არ მოკლა და არ შეჭამა?

— ნუთუ არ მიამბნია, რა მოხდა? — თუმცა, მაშინ ძალიან მეძინებოდა და თავში ყველაფერი ამერია, თანაც დედაშენმა დაგიძახა. რაზე შევჩერდით? მახსოვს, მახსოვს. შენ უკვე თვალებს ისრეს? ძამია კურდღელს არაფერი სჭირს სატირალი. ტყუილად ხომ არ იყო ისეთი მკვირცხლი!

აბა, მოისმინე, რა მოხდა მერე:

მიეკრა ეს ჩვენი კურდღელი ფისის თოჯინას და მელია კი იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მერე ეუბნება:

— ახლა კი დაგიჭირე, ძმობილო. შეიძლება, ვცდები, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დაგიჭირე. სულ რომ დახტოდი და მასხარად მიგდებდი, ზოგი ამის შემდეგ იხტუნე და დამცინე! არა, რად ეჩრებოდი სხვის საქმეში არამკითხესავით? რას ჩააცივდი ამ თოჯინას, რა გინდოდა? ვინ მიგაკრა ზედ? არავინ, კაციშვილს არ მიუკვრიხარ! არა სულიერს არ უთხოვია, მოუკარიო, შენი ნებით ადექი და მიეწებე! ყველაფერში შენ თვითონ ხარ დამნაშავე, ძმობილო! ეგრე გინდა! ეგრევე იჯდები, ვიდრე ფიჩხს არ მოვაგროვებ და ცეცხლს არ დავანთებ, იმიტომ რომ, დღეს აუცილებლად უნდა შეგწვა, ძმობილოო.

კურდღელი კი წყნარად, მორჩილად ეუბნება:

— რაც გინდა, ის მიყავი, ოღონდ ეკლის ბუჩქში არ გადამაგდო. როგორც გინდა, ისე შემწვი, ოღონდ იმ ეკლის ბუჩქში არ გადამაგდოო.

— ისე, კაცმა რომ თქვას, ბევრი წვალება კი უნდა კოცონის დანთებას, ჯობია, ჩამოგახრჩოო, — გადაწყვიტა მელიამ.

— რა სიმაღლეზედაც გინდა, იმ სიმაღლეზე ჩამომახრჩე, ოღონდ იმ ეკლის ბუჩქში არ გადამაგდოო, — ეხვეწება კურდღელი.

— თოკი არა მაქვს, ამიტომ ავდგები და წყალში დაგახრჩობო, — უთხრა მელიამ.

— რა სიღრმეზედაც გინდა, იმ სიღრმეზე დამახრჩე, ოღონდ იმ ეკლის ბუჩქში არ გადამაგდო, ძმობილოო, — ეუბნება კურდღელი.

მაგრამ მელიას უნდოდა, რომ ძალიან მკაცრად დაესაჯა კურდღელი, და უთხრა:

— რაკი გეშინია, ავდგები და სწორედ იმ ეკლის ბუჩქში გადაგისვრიო!

— მაგდენი სად შეგიძლია! ფისის თოჯინამ ისე დამამძიმა, იქამდე ვერ მიუწევო! — ეუბნება კურდღელი.

მელია სწვდა ყურებში კურდღელს, ერთი კარგად დაიქნია და ფისის კაცუნა მოამრო.

— ნახავ, თუ არ მივუწევ იქამდეო!

რომ მოიქნია კურდღელი და ისროლა ეკლის ბუჩქებში, ტოტებმა სულ ლაწალუწი დაიწყო. მერე შედგა მელია უკანა თათებზე და ბუჩქს მიაჩერდა — რა დაემართა კურდღელსო.

უცბად შემოესმა, რომ ვიღაცა ეძახდა. გაიხედა სერზე და რას ხედავს: შემომჯდარა კურდღელი მორზე და ნაფოტით ფისის ნარჩენებს იფხეკს ბეწვიდან.

ახლა კი მიხვდა მელია, რომ კიდევ მოტყუვდა.

კურღელს კი უნდოდა, უფრო ძალიან გაებრაზებინა, და დაუძახა:

— ეკლის ბუჩქი ჩემი მშობლიური სახლია, ძმობილო, ეკლის ბუჩქი ჩემი მშობლიური სახლიაო!

მერე წამოხტა და ქარივით გადაიკარგა.

ზღაპარი კურდღლის ცხენისა

ერთხელ, ნავახშმევს, ჯოელს ძალიან მოუნდა, კიდევ გაეგო რამე კურდღელსა და იმის მეგობრებზე. ადგა და მოხუც ზანგთან გაიქცა.

ბიძია რიმუსი იმ დღეს მხიარულ გუნებაზე იყო. შეყო თუ არა ჯოელმა თავი კარებში, აი, ეს სიმღერა შემოესმა:

სად ხარ, ძმაო ყურცქვიტელავ?
აივანზე ზიხარ, მგონი,
გაგიჩრია სიგარა და
ბოლქვა-ბოლქვად ადის ბოლი.

ბიჭს მაშინვე გაახსენდა, როგორ დასდევდა მელია კურდღელს დასაჭერად, და მოხუცს ჰკითხა:

— ბიძია რიმუს, კურდღელი სულ გაექცა მელიას, ფისის კაცუნას რომ მოსცილდა?

— რას ამბობ! სულ რატომ გაექცეოდა! ისეთი კაცი და — გაქცევა? რა თქმა უნდა, შინ იჯდა, ვიდრე ბეწვიდან ფისს ჩამოიფხეკდა, მერე კი, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ისევ თავისებურად დახტოდა ზევით-ქვევით.

მეზობლები გაუთავებლად დასცინოდნენ:

— ძმობილო, ერთი ის გვიამბე, ფისის თოჯინასთან რა მოგიხდაო.

კურდღელს ძალიან მობეზრდა ამდენი დაცინვა. ერთხელაც თავის მეზობელს, ქალბატონ მიდოუსსა და იმის გოგონებს ესტუმრა. გოგონებმა ისევ დაუწყეს დაცინვა და ერთი სიცილ-ხარხარი ატეხეს. გეგონებოდა, დაყრუვდაო, ისე მშვიდად იჯდა კურდღელი.

— ვინ არის ქალბატონი მიდოუსი? — იკითხა ჯოელმა.

— ნუ მაწყვეტინებ. უბრალოდ, ასეა ნახსენები ზღაპარში — ქალბატონი მიდოუსი და მისი გოგონებიო, — მეტი არაფერი ვიცი.

კარგა ხანს უსმინა კურდღელმა იმათ სიცილ-ხარხარს, მერე ფეხი ფეხზე გადაიდო, გოგონებს თვალი ჩაუკრა და თქვა:

— ჩემო კარგებო, მელია ხომ მამაჩემს საჯდომ ცხენად ჰყავდა მთელ ოცდაათ წელიწადს. შეიძლება, მეტსაც, მაგრამ ოცდაათ წელიწადს რომ ჰყავდა, ნამდვილად ვიციო.

ეს რომ თქვა, ადგა, დაემშვიდობა ყველას და ნელი, მედიდური ნაბიჯებით გასწია შინისაკენ.

მეორე დღეს ქალბატონ მიდოუსთან მელიამ შეიარა და, როგორც კი ფისის კაცუნა ახსენა, ქალბატონმა მიდოუსმა მაშინვე მიახარა: შენზე ასე და ასე თქვა კურდღელმაო.

— ასე, ხომ? კარგი. მე მაგ სიტყვებისთვის, აი, აქ, ამავე ადგილზე ვათხოვინებ პატიებასო! — შეჰპირდა მელია და წავიდა.

გავიდა მელია შარაზე, კუდიდან ცვარი ჩამოიბერტყა და პირდაპირ კურდღლის სახლისკენ გაემართა.

მაგრამ კურდღელი უკვე ელოდა და კარი მაგრად ჰქონდა ჩაკეტილი.

მელიამ დააკაკუნა. პასუხი არავინ გასცა. კიდევ დააკაკუნა. კიდევ არავინ უპასუხა. ადგა და უფრო მაგრად დააკაკუნა.

ახლა კი გაეპასუხა კურდღელი, ოღონდ ძალზე მისუსტებული ხმით:

— შენა ხარ, ძმობილო მელავ? თუ კაცი ხარ, ჰქენი სიკეთე და ექიმი მომგვარე. დილას ლობიო ვჭამე და ლამის მომკლას. თუ შეიძლება, ცოტა სწრაფად ირბინეო.

— მე კიდევ შენს წასაყვანად მოვედი, ძმობილო, ქალბატონ მიდოუსს დღეს წვეულება აქვს და შევპირდი, მოვიყვან-მეთქი, — ეუბნება მელია.

— სად შემიძლია, ფეხზე ვერა ვდგებიო! — ეუბნება კურდღელი.

— რა უშავს, შორი გზა ხომ არ არისო! — მიუგო მელიამ.

— დასუსტებული ვარ, იქამდე ვერ შევძლებ სიარულსო.

— მე წაგიყვანო.

— როგორ, ძმობილოო?

— აგიყვან და ისეო.

— რომ ჩაგივარდეო?

— არ ჩამივარდებიო.

— კარგი, წამოვალ, ოღონდ ზურგით წამიყვანე, ძმობილოო.

— კარგიო.

— უნაგირი რომ არა მაქვს, ძმობილოო?

— მე ვიშოვიო.

— უაღვიროდ როგორ უნდა ვიჯდე უნაგირზეო?

— მე ვიშოვი აღვირსო.

— შენ თვალსაფარიც დაგჭირდება, ძმობილო, თორემ გზაზე რომ უცბად რამემ შეგაშინოს, ხომ გადმოვარდები უნაგირიდანო!

— კეთილი, თვალსაფარსაც ვიშოვი, ძმობილოო.

— მაშ, კარგი, წამოვალო.

მელიამ კურდღელს წინასწარ უთხრა: ქალბატონ მიდოუსის სახლის ახლოს მიგიყვან და მერე კი შენი ფეხით უნდა იაროო. კურდღელი დაეთანხმა და მელიაც უნაგირისა და აღვირისთვის გაიქცა.

კურდღელმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მელია სანდო არ იყო, და გადაწყვიტა, მოეტყუებინა. ის იყო, ბეწვი დაივარცხნა და ულვაშები გადაიგრიხა, რომ მელიაც დაბრუნდა უნაგირითა და აღვირით. ისეთი მშვიდი შეხედულება ჰქონდა, გეგონებოდა, ცირკის პონიაო. კარებთან მიირბინა და გაჩერდა, თან ცხენივით თათს მიწას ურტყამდა და ლაგამს ღრღნიდა.

კურდღელი შეჯდა უნაგირზე და მელია გააჭენა.

მელიას თვალსაფარი ეკეთა და ვერ ხედავდა, უკან რა ხდებოდა, მაგრამ უცბად იგრძნო, რომ კურდღელმა ფეხი ასწია.

— რას შვრები, ძმობილოო?

— უზანგს ვასწორებო.

ცოტა ხნის მერე კურდღელმა მეორე ფეხი ასწია.

— ახლა რაღას აკეთებ, ძმობილოო?

— შარვალს ვისწორებო.

ამასობაში კი კურდღელი დეზებს იკეთებდა. როგორც კი იმ ადგილას მივიდნენ, სადაც კურდღელი უნდა ჩამოქვეითებულიყო, მელიამ ნაბიჯს უკლო, მაგრამ კურდღელმა ისე შემოჰკრა და შემოჰკრა გვერდებში დეზები, რომ უფრო სწრაფად გაჭენდა.

ასე მიირბინეს ქალბატონ მიდოუსის სახლთან. ქალბატონი მიდოუსი და მისი გოგონები კარის წინ ისხდნენ. კურდღელმა გვერდზე ჩაუქროლა, პირდაპირ თავლასთან მიაჭენა მელია და დააბა. მერე სახლში შებრძანდა, გოგონებს ხელი ჩამოართვა, დაჯდა და, ვითომც არაფერიო, სიგარა გააბოლა.

ეწევა კურდღელი სიგარას, უშვებს ბოლს რგოლებად და თან ლაპარაკობს:

— არ გეუბნებოდით, მელია ჯერ კიდევ მამაჩემს ასეირნებდა-მეთქი? ცოტა სიფიცხე კი დაჰკარგვია, მაგრამ ერთ-ორ თვეში გამოვასწორებო.

გოგონები ახარხარდნენ, ხოლო ქალბატონმა მიდოუსმა ერთი ამბით დაუწყო ქება-დიდება მელია-ცხენს.

— სულ ეს იყო, ბიძია რიმუს? — ჰკითხა ბიჭმა ბიძია რიმუსს.

— სულ ეს იყო, თუ არ იყო, საკმარისია. დღეს ეს ვიმყოფინოთ, თორემ მეტი მოგვივა, — უპასუხა მოხუცმა ზანგმა.

კურდღელმა კიდევ აჯობა მელიას ეშმაკობაში

მეორე დღეს ბიჭი ბიძია რიმუსთან გაიქცა, რომ გაეგო, რით დამთავრდა კურდღლისა და მისი ცხენის ამბავი. მაგრამ ბიძია რიმუსი უგუნებოდ დახვდა.

— ცუდ ბიჭებს მე ზღაპარს არ ვუამბობ! — გამოუცხადა ჯოელს.

— მერე, მე ხომ ცუდი ბიჭი არა ვარ, ბიძია რიმუს!

— მაშ, დილას ვინ დასდევდა ქათმებს? შურდულს ვინ ისროდა? სადილობისას ჩემს გოჭს ძაღლი ვინ მიუქსია? ან ჩემს სახურავზე ქვებს ვინ ისროდა?

— განგებ არ მიქნია ასე, ბიძია რიმუს, მეტს აღარ ვიზამ. მე შენ პურის კვერი უნდა მოგიტანო, ბიძია რიმუს.

— გაგონილს ნანახი სჯობიაო...

მაგრამ, ვიდრე მოხუცი სიტყვას დაამთავრებდა, ჯოელი ისარივით გავარდა და ერთ წუთში ჯიბეებგატენილი დაბრუნდა.

— დედაშენი ნამდვილად იფიქრებს, რომ მეზობლის ვირთხებს მუცელი თავზე მოექცათ. — გაეცინა ბიძია რიმუსს. — აი, ამას ახლა შევჭამ, — თქვა და პურის კვერი შუაზე გაყო, — შევინახავ... ჰო, რაზე შევჩერდით? დამავიწყდა კიდეც, რას შვრებოდნენ ჩვენი ძმობილები.

— კურდღელმა მელია ქალბატონ მიდოუსთან მიაჭენა და თავლაში დააბა.

— ჰო. დააბა მელია თავლაში, თვითონ სახლში შევიდა, დაჯდა, სიგარა გააბოლა და მასლაათი გააბა. იმ მთისაც თქვეს, ამ მთისაც, იცინეს, იმღერეს, გოგონებმა პიანინო დაუკრეს.

მერე კურდღლის წასვლის დროც დადგა. ადგა კურდღელი, დაემშვიდობა ყველას და ისეთი მედიდური ნაბიჯებით გაემართა თავლისაკენ, გეგონებოდა, ბატონიშვილიაო. შეჯდა მელიაზე და წავიდა.

მელიას არაფერი უთქვამს. კბილი კბილს დააჭირა და გაჭენდა.

მაგრამ კურდღელმა იცოდა, რომ მელია გაცეცხლებული იყო, და გაგიხარია, შეეშინდა!

მელია კი მირბოდა და მირბოდა. მანამდე ირბინა, სანამ ქალბატონ მიდოუსის სახლის მოშორებით, ერთ მინდორზე არ გავიდა. გავიდა თუ არა, თითქოს ჯაჭვი აიწყვიტაო, სულ გაცოფდა: ფრუტუნებდა, ილანძღებოდა, ღმუოდა, ხტოდა და ბზრიალებდა. ათასნაირად ცდილობდა, ძამია კურდღელი ზურგიდან გადმოეგდო, მაგრამ კურდღელი მაგრად იჯდა.

მელია რომ ზურგს ამოზნექდა, კურდღელი დეზებს უჭერდა. კარგა ხანს იხტუნა და იხტუნა მელიამ, ახტა და დახტა, აკრაჭუნა და აკრაჭუნა კბილები — კინაღამ საკუთარი კუდი მოიკვნიტა. მერე უცებ დაეცა მიწაზე და გორაობა დაიწყო.

კურდღელი ახლა კი გადმოვარდა უნაგირიდან, მაგრამ ვიდრე მელია წამოხტებოდა, ბუჩქებს ეცა. მელია დაედევნა, ისეთი სისწრაფით დაედევნა, კურდღელმა ძლივს შეასწრო ხის ფუღუროში. ფუღურო ვიწრო იყო და მელია ვერ შეეტია. ადგა და იქვე მიწვა, სული მოითქვა და ფიქრს მიეცა — რა ვუყო ახლა კურდღელსო.

მელია რომ ასე იწვა და ფიქრობდა, მოშორებით კაკაჩამ ჩაიფრინა. ჩაიფრინა და დაინახა, რომ მელია მკვდარივით ეგდო, იფიქრა, მოდი, მძორს შევექცევიო.

დაჯდა ხის ტოტზე, ფრთები ააფართხუნა, თავი გვერდზე გადაიგდო და ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— საწყალი ძამია მელია, მომკვდარა, როგორ მეცოდებაო!

— არა, ცოცხალი ვარო, — უთხრა მელიამ, —ფუღუროში კურდღელი მოვამწყვდიე. ახლა კი ვერსად წამივა, თუნდა ახალ წლამდე დამჭირდეს ლოდინიო.

ცოტაოდენი კიდევ ილაპარაკეს და მერე მელიამ სთხოვა:

— შენ ცოტა ხანს უდარაჯე კურდღელს, მე გავიქცევი და ნაჯახს მოვიტანო.

კაკაჩა დაეთანხმა.

მელია გაიქცა, კაკაჩა კი ფუღუროსთან დადგა საყარაულოდ. ყველაფერი რომ მიწყნარდა, კურდღელი ფუღუროს გასასვლელს მიუახლოვდა და ძახილი მორთო:

— ძმობილო მელიავ, ჰეი, ძმობილოო!

მაგრამ მელია უკვე შორს იყო და არავინ უპასუხა. მაშინ კურდღელმა ყვირილი დაიწყო:

— აჰა, პასუხიც არ გინდა, გამცე, ძმობილო? არცა მჭირდება! მაინც ვიცი, რომ აქ ზიხარ. ზიხარ და იჯექი, მე რა მესაქმება! ისე, უბრალოდ, უნდა მეთქვა: კარგი იქნებოდა, ახლა აქ რომ ძმობილი კაკაჩა ყოფილიყო-მეთქი!

კაკაჩამ ახლა კი უპასუხა, ოღონდ მელიას ხმით:

— რად გინდა, ძმობილი კაკაჩაო?

— არაფრად, ისე, ფუღუროში ერთი ნაცრისფერი ციყვია, ისეთი მსუქანია, ჩემს სიცოცხლეში ასეთი არ მინახავს. ძმობილი კაკაჩა რომ აქ ყოფილიყო, პირს ჩაიტკბარუნებდაო.

კაკაჩამ ისევ მელიას ხმით ჰკითხა:

— მერე, როგორ დაიჭერდაო?

— ხეს მეორე მხარეს პატარა ნახვრეტი აქვს. კაკაჩა რომ აქ იყოს, იმ ნახვრეტთან დადგებოდა, მე კი ციყვს გამოვაგდებდიო.

— გამოაგდე, გამოაგდე, ვეცდები, კაკაჩას არ გაექცესო, — უთხრა კაკაჩამ.

კურდღელმა ერთი გნიასი ატეხა, ვითომ აგდებდა ვინმეს, და კაკაჩაც ციყვის დასაჭერად ხის უკანა მხარეს გაიქცა. კურდღელი კი გამოძვრა ფუღუროდან და თავ-პირის მტვრევით მოკურცხლა შინისკენ.

ბიძია რიმუსმა აიღო პურის კვერი, თვალები დახუჭა და ღიღინ-ღიღინით შეუდგა ჭამას.

როგორ მოატყუა კაკაჩამ მელია

თუ არ ვცდები, იმაზე შევჩერდით, კურდღელი რომ გამოხტა ფუღუროდან და გაიქცა, კაკაჩა კი ისევ იდგა და ყარაულობდა, არა, ჯოელ?

ჰოდა, დიდად დანაღვლიანდა კაკაჩა და ყურები ჩამოყარა, მაგრამ რა ექნა, როცა მელიას შეჰპირდა, კურდღელს ვუდარაჯებო!

ბოლოს გაიფიქრა: «მოდი, დაველოდები მელიას და როგორმე მოვატყუებო».

სად იყო, სად არა, მხარზე ნაჯახგადებულმა მელიამაც მოირბინა:

— აბა, რა ამბავია, ძმობილო, ისევ იქ არის კურდღელიო?

— იქ არის, აბა რა! განაბულია, ეტყობა, ჩასთვლიმაო.

— არა უშავს, მე გამოვაღვიძებო, — მელიამ პიჯაკი გაიძრო, ხელებზე დაიფურთხა და ნაჯახი აიღო. მოიქნია და დასცხო ხეს — ჭახ! მიჰყვა და მიჰყვა: მოიქნევს ნაჯახს, დასცხებს ხეს — ჭახ!

კაკაჩა დახტის და შესძახის:

— შიგ არის, ძმობილო! შიგ არის, შიგ არისო!

ცვივა ნაფოტი აქეთ-იქით, ხტის კაკაჩა და ყვირის:

— შიგ არის, ძმობილო, შიგ არისო!

მელია კი ჭრის და ჭრის ხეს. უკვე ცოტაღა დარჩა სამუშაო და ნაჯახი დაუშვა — სულს მოვითქვამო. უკან რომ მიიხედა, დაინახა, რომ კაკაჩა იჯდა და იცინოდა.

მიხვდა მელია, აქ, რაღაცა, კარგი ამბავი არ არისო. კაკაჩა კი ისევ თავისას გაიძახის:

— შიგ არის, ძმობილო, შიგ არის, მის კუდსა ვხედავო!

მაშინ მელიამ ფუღუროში შეიხედა და კაკაჩას გამოსძახა:

— ძმობილო, ერთი მოდი, შეიხედე, ეს რა ჩანს, კურდღლის ფეხი ხომ არ არისო?

კაკაჩამ ფუღუროში შეყო თავი. მელია მაშინვე კისერში სწვდა. ძალიანაც აფართხუნა ფრთები კაკაჩამ, ძალიანაც აწყდებოდა აქეთ-იქით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მელიას მარჯვედ ეჭირა: მიწაზე გაეკრა და არ უშვებდა.

კაკაჩა შეეხვეწა:

— გამიშვი, ძმობილო, გამიშვი! კურდღელი უკვე სულ ახლოს არის, ერთი-ორჯერაც დასცხე ნაჯახი და შენს ხელთ იქნებაო.

— არ მატყუებ, ძმობილოო?

— არა, რას გატყუებ, შიგ არის! გამიშვი ჩემს დედაკაცთან, ძმობილო! კურდღელი შიგ არის, შიგ არისო!

— რატომღაც მისი ბეწვის ნაგლეჯები მაყვლის ბუჩქზეა, ის კი სხვა მხრიდან მოვიდაო! — ეუბნება მელია.

ახლა კი ყველაფერი უამბო კაკაჩამ, რაც მოხდა:

— მასეთი გაქნილი და გაიძვერა ჩემს სიცოცხლეში სხვა არავინ მინახავსო.

მელია კი ეუბნება:

— სულ ერთია, მაინც შენ აგებ პასუხს, მე რომ წავედი, კურდღელი ფუღუროში იყო, შენ კი მის საყარაულოდ დარჩი. მოვედი და — შენ აქ ხარ, კურდღელი აღარ არის. მის მაგივრად შენი შეწვა მომიწევს, ძმობილოო.

— ცეცხლში თუ მისვრი, გავფრინდებიო, — გააფრთხილა კაკაჩამ.

— მე კიდევ ჯერ მიწაზე დაგანარცხებო, — უთხრა მელიამ; დაიჭირა ბოლოთი, მოიქნია... მაგრამ კაკაჩას ბუმბულები გამოსძვრა ბოლოდან და თვითონ ზევით აფრინდა.

მიფრინავს კაკაჩა და ყვირის:

— გმადლობ, რომ აფრენაში მიშველე, ძმობილო! გმადლობ, რომ აფრენაში მიშველეო!

მელიამ კი სიბრაზისაგან მხოლოდ კბილებიღა გააღრჭიალა.

— კურდღელს რაღა დაემართა, ბიძია რიმუს?

— დამაცა, გეთაყვა, ყველაფერს გიამბობო, — დაამშვიდა მოხუცმა ჯოელი.

როგორ გამოწველა კურდღელმა ძროხა

გახსოვს, როგორ მოატყუა კურდღელმა კაკაჩა და ფუღუროდან გაიპარა?

ჰოდა, პირდაპირ შინისაკენ გასწია. ისე იყო გამხიარულებული, როგორც მაყარი ქორწილში. მიხტის და მიუხარია. მიხტის და მიუხარია! იმდენი ირბინა, დაღლილობისგან ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ამასობაში მოსწყურდა კიდეც. თითქმის უკვე შინ იყო მისული, რომ გაიხედა და ძროხა დაინახა — მინდორში ბალახს ძოვდა. იფიქრა, მოდი, ბედსა ვცდიო.

მან კარგად იცოდა, რომ ძროხა არაფრის გულისთვის არ მისცემდა რძეს: უკვე რამდენჯერმე ჰყავდა გამოგდებული. ის კი არა, ცოლი რომ ავად გაუხდა, მაშინაც კი არ მისცა რძე.

კურდღელმა ერთხანს იტრიალა ღობესთან, იტრიალა, იტრიალა და ბოლოს დაუძახა:

— როგორ ბრძანდები, ქალბატონო ძროხავ?

— არა მიშავს, ძამია კურდღელოო.

— ხომ ჯანმრთელად ბრძანდებიო?

— ისე, არც ავად, არც კარგად. თავად როგორ გიკითხოო?

— არა მიშავს, გმადლობ. ცოტა სხეულში მამტვრევს დილდილობით, გაღვიძებისასო.

— ცოლ-შვილი როგორ გყავსო, — ეკითხება ძროხა.

— ისე, არც ავად, არც კარგად. ძმობილი ხარი როგორ არისო?

— არა უშავსო, — ეუბნება ძროხა.

— დახე ერთი, რა ხურმა ასხია ამ ხეს! ნეტავ გემოთი გამასინჯაო.

— ვერ შესწვდები, ძამია კურდღელოო.

— შენც ადექი და ქენი სიკეთე, ურჩოლე ხეს, შეარხიე და ერთი-ორი ცალი ჩამომიგდეო, — ეუბნება კურდღელი.

ძროხას არ უნდოდა, უარი ეთქვა კურდღლისთვის, მივიდა და დაეტაკა ხეს რქებით — ბუმ!

მაგრამ ხურმა ჯერ ისევ ბალახივით მწვანე იყო, ერთიც არ ჩამოვარდნილა.

ძროხა კიდევ დაეტაკა რქებით ხეს! — ბუმ! — კიდევ არც ერთი არ ჩამოვარდნილა.

მაშინ ძროხამ ცოტა უკან დაიხია, გამოქანდა და დაეტაკა ხეს რქებით — ბუმ! — ნეტავ ერთი მაინც ჩამოვარდნილიყო!

ძროხა უფრო შორს გადგა, აიგდო კუდი ზურგზე, გამოქანდა და — ბუუმ! — ისევ ეძგერა ხეს რქებით.

ეძგერა და ეგრევე დარჩა ხეში ცალრქაშერჭობილი, ვეღარც წინ მიდიოდა, ვეღარც უკან. კურდღელსაც ეს უნდოდა.

— მიშველე, ძამია კურდღელოო, — შეეხვეწა ძროხა.

— მე ხომ რქებამდე ვერ შემოგწვდები! ისევ ჯობია, გავიქცე და ძმობილ ხარს დავუძახოო, — უთხრა კურდღელმა და შინისკენ გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ ცოლი და შვილები მოიყვანა. ყველას თითო ვედრო მოჰქონდა: მოზრდილებს — დიდები, პატარებს — მომცროები.

მივიდნენ, შემოეხვივნენ ძროხას და მანამდე არ მოეშვნენ, სანამ მთლად არ გამოწველეს. დიდებიც წველიდნენ, პატარებიც. წველა რომ მოათავეს, კურდღელმა უთხრა ძროხას:

— კარგად ბრძანდებოდე, ქალბატონო ძროხავ. ამაღამ მინდორში მოგიწევს გათევა და მოსაწველი ხომ არ იქნებოდი! ჰოდა, ვიფიქრე: მოდი, გამოვწველი, თორემ მთელი ღამე იბღავლებს-მეთქი.

სწორედ ასე უთხრა კურდღელმა ძროხას. ძროხა კი ისევ იდგა და ხიდან რქის ამოძრობას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ.

მზე ჩავიდა. დაღამდა კიდეც და ძროხა ისევ ისე იდგა. გათენებისას, როგორც იყო, ამოაძრო რქა და ბალახის წიწკნა დაიწყო. თან ფიქრობდა: «დამაცადე. მოირბენ, ალბათ, ჩემს სანახავად და გადაგიხდი სამაგიეროსო!».

მზე რომ ამოიწვერა, მივიდა ძროხა და რქა ისევ ხის ნაჩვრეტში შეყო.

მაგრამ, ეტყობა, ძოვით გართულიყო და კინაღამ დააგვიანდა, რადგანაც, შეყო თუ არა რქა ხვრელში, კურდღელი უკვე ღობეზე იჯდა და იყურებოდა.

— დილა მშვიდობისა, როგორ ბრძანდები, ქალბატონო ძროხავ? — მიესალმა კურდღელი, ჩამოხტა ღობიდან და ცოტა ახლოს მიცუნცულდა.

— ცუდად, ძამია კურდღელო, საკითხავი აღარა ვარ. მთელი ღამე ვბღაოდი. ვერაფრით ვერ გამომიძვრია რქა. იქნება კუდით რომ გამწიო, როგორმე გამოვაძროო.

კურდღელი ცოტა უფრო ახლოს მივიდა. მაგრამ ძალიანაც არ მიახლოებია:

— ამაზე ახლოს მოსვლა არ შემიძლია, შენ ხომ იცი, რომ ცოტა სუსტი ვარ და შეიძლება, წელში გავწყდე. აბა, შენ გამოსწიე და მეც აქ ვიქნები, ნუ გეშინიაო.

ძროხამ უცბად გამოაძრო რქა ხეს და კურდღელს გამოუდგა. გაჭენდნენ ორივენი შარაზე, გაჭენდნენ, მაგრამ როგორ! კურდღელი ყურებგადაწკეპილი გარბოდა, ძროხა — თავდაღუნული და რქებმოღერებული.

კურდღელმა კარგა მანძილზე გაუსწრო და ჭენებ-ჭენებით უცბად ეკლიან ბუჩქებში შევარდა. ძროხამაც მიირბინა და დაინახა, რომ ბუჩქებიდან ვიღაცის თავი ამოჩრილიყო და დიდი თვალებით იჭყიტებოდა...

— გამარჯობა, ქალბატონო ძროხავ! შორს გარბიხარო? — ჰკითხა კურდღელმა.

— გაგიმარჯოს, ძამია დიდთვალა! — უპასუხა ძროხამ. — აქეთ ძამია კურდღელს ხომ არ ჩაურბენიაო?

— როგორ არა, სწორედ ახლახან ჩაირბინა. ისეთი დაღლილი იყო, ძლივსღა სუნთქავდაო. — უპასუხა კურდღელმა.

ძროხა თავ-პირის მტვრევით გავარდა შარაზე, გეგონებოდა, ძაღლები მისდევენო.

კურდღელი კი იწვა ეკლიანი ბუჩქების ძირში და იცინოდა და იცინოდა. იმდენი იცინა, იმდენი, კინაღამ მოკვდა.

აბა, როგორ არ ეცინა — მელიასაც დაუძვრა, კაკაჩასაც დაუძვრა და ძროხასაც!

სტუმრად ქალბატონ მიდოუსთან

ჯოელი კიდევ მოემზადა მოსასმენად. ბიძია რიმუსმა კი აიღო ცეცხლის საჩხრეკი, მუგუზლები მიასწორ-მოასწორა, რომ უფრო მხიარულად ეგიზგიზა ცეცხლს, და მერე დაიწყო:

— რაც კურდღელმა ძროხა გამოწველა, მას შემდეგ ერთმანეთში ვეღარ რიგდებოდნენ.

ერთხელ ძროხა ისევ გამოუდგა კურდღელს და ისე თავგამეტებით მისდევდა, რომ საკუთარ ჩრდილსაც კი გაასწრო.

კურდღელმა იფიქრა: მოდი, გზიდან გადავუხვევ და ჩემს მეგობრებს — ქალბატონ მიდოუსსა და მის გოგონებს — მოვინახულებო.

სკუპ-სკუპ, სკუპ-სკუპ — ისკუპსკუპა კურდღელმა და უცბად ბუჩქის ძირას კუს მოჰკრა თვალი. შეჩერდა და სახლის სახურავზე დაუკაკუნა. სახურავზე, აბა რა! ძმობილი კუ ხომ თავის სახლს სულ თან დაათრევს. დარში და ავდარში, წვიმასა და ქარში, სადაც გინდა შეხვდე, სადაც გინდა ნახო, ყველგან თან აქვს თავისი დიდებული სახლი.

ჰოდა, კურდღელმა დააკაკუნა სახურავზე და იკითხა: სახლის პატრონი შინ არისო? კუმ უპასუხა, შინ არისო.

— როგორა ხარ, ძმობილოო?

— შენ როგორა ხარ, ძმობილო კურდღელოო?

მერე კურღელმა ჰკითხა:

— საით გაგიწევია, ძმობილოო?

— არსაით, უბრალოდ, ვსეირნობო, — უპასუხა კუმ.

კურდღელმა უთხრა:

— ქალბატონ მიდოუსთან და მის გოგონებთან მივდივარ სტუმრად და, თუ გინდა, შენც წამოდიო.

— რატომაც არა, წამოვალო! — უპასუხა კუმ და ერთად განაგრძეს გზა.

მიდიოდნენ და მისაუბრობდნენ. გული რომ იჯერეს ლაპარაკით, მივიდნენ კიდეც. ქალბატონი მიდოუსი და მისი გოგონები შეეგებნენ და შინ შეიპატიჟეს. ისინიც შევიდნენ.

კუ ხომ ძალიან ბაჯაჯღანაა, ამიტომ იატაკზე გართხმულს ჰგავდა. სკამმაც კი ვერ უშველა, მაინც ძალიან დაბალი იყო. ჰოდა, ვიდრე მასპინძლები ადგილს ურჩევდნენ, სად დავსვათო, კურდღელმა აიღო და თაროზე შესვა, ვედროსთან. კუ ერთი ამბით წამოწვა და ისე იბღინძებოდა, გეგონებოდათ, ინდაური გადაყლაპაო.

რა თქმა უნდა, მელიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და კურდღელმაც დაიწყო მოყოლა, როგორ შეკაზმა მელია და რა კარგი ცხენი გამოუვიდა. ყველანი ხარხარებდნენ — ქალბატონი მიდოუსი, მისი გოგონები და კუ.

კურდღელი კი იჯდა სავარძელში, აბოლებდა სიგარას და ლაპარაკობდა:

— დღესაც იმით მინდოდა მოსვლა, მაგრამ გუშინწინ ისე ვაჭენე, ერთი ფეხით დაკოჭლდა. მე მგონია, მთლად თავიდან მოცილება მომიწევსო.

მაშინ ძამია კუმ თქვა:

— რაკი ასეა, თუ გაყიდვა დააპირო, ცოტა შორს მიჰყიდე ვინმეს, ძმობილო, თორემ მეტისმეტად მოგვაბეზრა აქ თავი. გუშინაც შემხვდა და იცით, რა მითხრა? «ვაჰ, შენა ხარ, ბორდღიალა-ჩოჩიალაო!»

— რა საშინელებაა! — წამოიძახა ქალბატონმა მიდოუსმა. — გესმით, გოგონებო? მელიამ ძამია კუს «ბორდღიალა-ჩოჩიალა» უწოდა!

ყველამ ერთი ვაი-ვიში ატეხა — როგორ გაბედა მელიამ ასეთი მშვენიერი კაცის შეურაცხყოფაო. ისინი რომ ამ შეცხადებაში იყვნენ, მელია კარს უკან იდგა და ყველაფერს ისმენდა.

ბევრი არასასიამოვნო რამ გაიგონა მელიამ, მერე უცბად შერგო თავი კარში და დაიყვირა:

— საღამო მშვიდობისა, მეგობრებო! როგორა ხართ? — და კურდღლისკენ ისკუპა.

ქალბატონმა მიდოუსმა და მისმა გოგონებმა ერთი კივილ-ჭყივილი ატეხეს. ხოლო ძამია კუ თაროს კიდესთან მიცოცდა, გადმოვარდა და მელიას ზედ კინკრიხოზე ისე დაენარცხა, დაარეტიანა.

როცა მელია გონს მოეგო, მხოლოდ გატეხილი სკამი და ბუხარში ამოტრიალებული კარდალაღა დაინახა. კურდღელიც გამქრალიყო, კუც გამქრალიყო და არც ქალბატონი მიდოუსისა და მისი გოგონების კვალი ჩანდა.

კურდღელი საკვამლე მილში ამძვრალიყო და ამიტომ იყო კარდალა ბუხარში ამოტრიალებული.

კუ საწოლქვეშ შეცოცებულიყო და სკივრს ამოჰფარებოდა, ქალბატონი მიდოუსი და მისი გოგონები კი ეზოში გაცვივნილიყვნენ.

მელიამ მიიხედ-მოიხედა და კინკრიხო მოისინჯა. კურდღლის ასავალ-დასავალიც არ ჩანდა. საუბედუროდ, ჭვარტლმა და კვამლმა ისეთი დღე დააწია კურდღელს, რომ ერთი მაგრად დააცემინა: აფჩხიი!

— ჰოო! აი, სად ბრძანებულხარ! ძალიან კარგი. ახლა ჩემს ხელში ხარ. ავდგები, შემოგიბოლებ და თავისთავად გამობრძანდებიო! — გაუხარდა მელიას.

კურდღელს კრინტი არ დაუძრავს.

— ჰა, რას იზამ, გამოხვალ შენი ნებითო? — ჰკითხა მელიამ.

კურდღელს კიდევ არ ამოუღია ხმა.

მელია ადგა და შეშისთვის წავიდა. რომ დაბრუნდა, კურდღლის სიცილი შემოესმა.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა მელიამ.

— გეტყოდი, მაგრამ არ შეიძლებაო, — უპასუხა კურდღელმა.

— გირჩევნია, თქვაო, — უთხრა მელიამ.

— ისეთი არაფერია, ვიღაცას აქ ფულით სავსე ყუთი შეუნახავსო, — ეუბნება კურდღელი.

— სწორედ დაგიჯერე და ეგ არისო! — ეუბნება მელია.

— შემოიხედე, თუ არა გჯერაო, — უთხრა კურდღელმა.

შეყო თუ არა მელიამ თავი ბუხარში, კურდღელმა ბურნუთი შეაყარა თვალებში (სათუთუნეს მუდამ თან ატარებდა). ახტა და დახტა მელია, გაგორდა და გამოგორდა, სულ ყირაზე გადადიოდა. ბოლოს გარეთ გავარდა. კურდღელი კი გამოძვრა ბუხრიდან და მასპინძლებს დაემშვიდობა.

— როგორ მოიშორე თავიდან, ძამია კურდღელოო? — ჰკითხა ქალბატონმა მიდოუსმა.

— ვინ, მე? ისე, უბრალოდ, ავდექი და ვუთხარი, რომ თუ ახლავე შინ არ მოუსვამ და თავს არ გაანებებ პატიოსანი ხალხის შეწუხებას, დაგიჭერ და ძვალსა და რბილს გაგიერთიანებ-მეთქი, — უპასუხა კურდღელმა.

მელია კი ისევ ყირა-ყირა გადადიოდა და მანამდე იკოტრიალა, სანამ შინ არ მიგორდა.

— კუს რაღა დაემართა? — იკითხა ჯოელმა.

— რა დაემართა, რა დაემართა! — შესძახა მოხუცმა. — ამ ბავშვებს უცბად უნდათ ყველაფრის გაგება! აი, უკვე თვალები გეხუჭება. გაიქეცი, დაიძინე, შვილო.

მგლის მარცხი

დედაშენს ან სტუმრები ეყოლება, ან ბუფეტის გასაღებს დაკარგავდა და შენ იპოვიდი, — უთხრა ბიძია რიმუსმა ჯოელს, როცა ბიჭმა მოხუცთან მიირბინა და მშვენიერი ღვეზელი მიუტანა.

— არა, ბიძია რიმუს, დედამ თვითონ მომცა ღვეზელი. მე კიდევ ვიფიქრე, ბიძია რიმუსს მივართმევ-მეთქი, — აუხსნა ჯოელმა.

მოხუცს გაეღიმა:

— გმადლობ, შვილო, გმადლობ. ეს ღვეზელი სწორედ რომ კარგ დროს მომიტანე, ცოტა მომაღონიერებს და კიდევ გიამბობ კურდღლისა და მისი მეგობრების ამბავს.

ბიძია რიმუსი გაჩუმდა და ღვეზელს შეექცა. მალე გაათავა კიდეც, წვერიდან ნამცეცები ჩამოიბერტყა და დაიწყო:

— ისე იყო მელია კურდღელზე გულმოსული, რომ აღარ იცოდა, რა ექნა, ბოღმისაგან სულ ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

ერთხელაც გზად მიდიოდა და შემთხვევით მგელს შეხვდა. რაღა თქმა უნდა, მიესალმნენ ერთმანეთს, მოიკითხეს: როგორა ხარ, რასა იქმ, ცოლ-შვილი როგორა გყავსო. მერე მგელმა უთხრა:

— შენ იქნება არც კი იცი, რომ მე უკვე მოვიფიქრე, როგორ უნდა ჩავიგდოთ ხელში კურდღელიო.

— როგორო? — ჰკითხა მელიამ.

— შენს სახლში უნდა შევიტყუოთო.

— ეგრე ადვილი არ არის იმისი შეტყუება, როგორ უნდა შევიტყუოთო?

— როგორ და, უნდა შევაცდინოთო.

— მერე, ვინ შეაცდენსო? — ჰკითხა მელიამ.

— ვინ და, მეო! — უპასუხა მგელმა.

— რანაირად, ძმობილოო?

— რანაირად და ასე: შენ გაიქცევი შინ, დაწვები და თავს მოიმკვდარუნებ. ასე ხმაგაკმენდილი იწვები, ვიდრე კურდღელი არ მოვა სანახავად. მიწა გამისკდეს და შიგ ჩავვარდე, თუ ჩვენი კერძი არ გახდესო, — მიუგო მგელმა.

მელიას ძალიან მოეწონა ეს აზრი და მაშინვე სახლისკენ გასწია. მგელი კი პირდაპირ კურდღელთან გაქანდა.

მივიდა მგელი კურდღელთან, მაგრამ შინ არავინ ჩანდა. მაინც დააკაკუნა: კაკ! კაკ!

არავინ უპასუხა.

კიდევ დააკაკუნა: კაკ! კაკ!

— ვინ არისო? — იკითხა კურდღელმა.

— მოყვარეო, — უპასუხა მგელმა.

— მოყვარეც არის და მოყვარეც, შენი სახელი მითხარიო! —ეუბნება კურდღელი,

— ცუდი ამბავი მოვიტანეო, — ეუბნება მგელი.

— ყოველთვის ასეა, ცუდ ამბავს ხელად გაიგებო, — უთხრა კურდღელმა, თან კარის ჭუჭრუტანიდან გაიჭყიტა.

— დღეს დილას მელიამ სული განუტევაო, — აცნობა მგელმა.

— რატომ სამგლოვიაროდ არ გაცვიაო? — ჰკითხა კურდღელმა.

— ახლა სწორედ მაგისთვის მივდიოდი და ვიფიქრე, მოდი, ბარემ ძამია კურდღელს შევუვლი და ვეტყვი, რა უბედურებაც დატრიალდა-მეთქი. ამწუთს იქიდან მოვდივარ. გაჭიმა ფეხები საწყალმაო, — თქვა მგელმა და წავიდა.

კურდღელი დაჯდა, მოიქექა კეფა და მერე გადაწყვიტა: წავალ მელიასთან და გავიგებ, რა ამბავიაო.

თქვა და შეასრულა: წამოხტა და წავიდა.

მივიდა კურდღელი მელიას სახლთან და ხედავს, რომ ირგვლივ ყველაფერი უსიცოცხლო და დაღვრემილია. მივიდა სახლთან ახლოს, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა.

ადგა და სახლში შეიხედა. შეიხედა და დაინახა, რომ საწოლზე მელია წევს გაჭიმული, უშველებელი და საშინელი.

კურდღელმა ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი, ვითომც თავის თავს ელაპარაკებოდა:

— საწყალი, როგორ ყველას მიუტოვებია! მე მაინც მჯერა, რომ მორჩება ძმობილი მელია, თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, იქნება მოკვდა კიდეც. ვიღა მოვა მის მოსანახულებლად. ძმობილმა მგელმაც კი მიატოვა. მართალია, საქმე თავსაყრელად მაქვს, მაგრამ მე მაინც მოვუვლი. ისე, ერთი შეხედვით, თითქოს მოკვდა, მაგრამ რომ დაფიქრდები კაცი, მკვდარს სულაც არა ჰგავს, რადგანაც ყველამ იცის, მიცვალებულთან რომ მიხვალ, როგორც კი დაგინახავს, იმწუთს თათებს ასწევს და დაიყვირებს: «ოჰო-ჰო!»

მაგრამ მელია წყნარად იწვა. მაშინ კურდღელმა ცოტა ხმამაღლა თქვა:

— უცნაური ამბავია! ძმობილი მელია მთლად მკვდარია და მკვდარივით კი არ იქცევა. როგორც კი მიცვალებულთან სანახავად მივლენ, ის მაშინვე თათებს ასწევს და დაიყვირებს: «ოჰო-ჰოო!»

ახლა კი, რა თქმა უნდა, ასწია მელიამ თათები და წამოიყვირა: «ოჰო-ჰო!»

კურდღელმა კი კისრისტეხით მოუსვა.

როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მელია და კუ

ბიძია რიმუსი თავის სახარაზო დანას ლესავდა და თან ჰყვებოდა:

— ერთხელ მელია გზად მიდიოდა. უცბად დაინახა, რომ შუა გზაზე კუ იწვა. კუმ მაშინვე გაიფიქრა: ყური ცქვიტად უნდა მქონდეს, თვალი — ფხიზლადო. მაგრამ მელია დიდი ალერსით შეხვდა:

— გამარჯობა, ძმობილო! ძალზე მიხარია, რომ გნახე, სადა ხარ, რომ არ ჩანხარო?

— აქა-იქ დავდივარ-დავეხეტები, ძმობილო. სულ დავეხეტებიო.

— რაღაც შეუძლოდ გამოიყურები, ძმობილოო, — უთხრა მელიამ.

— სულ ასე დავღოღიალებ და ჯანზეც ვერა ვარო, — ეუბნება კუ.

— რა დაგემართა, მეგობარო? თითქოს თვალიც გაწითლებული გაქვსო!

— ეჰ, შენ რას გაიგებ, ძმობილო! ერთი სცადე და სულ იღოღიალე და იღოღიალე, იავადმყოფე და იავადმყოფეო.

— ორივე თვალი გქონია გაწითლებული! მთლად ავად ყოფილხარ, ძმობილოო!

— უარესად აღარ შეიძლებაო.

— რა უბედურება შეგემთხვაო?

— ისეთი არაფერი. გუშინ სასეირნოდ ვიყავი გამოსული, ერთი კაცი შემხვდა და ცეცხლში ჩამაგდოო.

— როგორ გამოხვედი ცეცხლიდან, ძმობილოო?

— ვიჯექი და ვითმენდი, ძმობილო! ვიჯექი და ვითმენდი. კვამლმა თვალები ამომწვა და ცეცხლმა — ზურგიო.

— იქნება კუდი მთლად დაგეწვაო? — ჰკითხა მელიამ.

— არა, კუდი, აი, ისევ მაქვს, — თქვა კუმ და ჯავშნიდან კუდი გამოყო.

მელიასაც ეს უნდოდა: სწვდა კუდში და შესძახა:

— აი, კუდი, აი, კუდი, ძმობილო! გახსოვს, როგორ დამენარცხე კინკრიხოზე ქალ-ბატონ მიდოუსთან? თუ დაგავიწყდა? იქ კურდღელთან ერთად იყავი, ხომ? აბა, ახლა კი წასულია შენი საქმეო!

ბევრი ეხვეწა და ემუდარა კუ, გამიშვიო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— ახლა მე შენ წყალში დაგახრჩობო, — გამოუცხადა მელიამ.

კუ შეევედრა:

— ოღონდ ნუ დამახრჩობ, ძმობილო, და ისევ ცეცხლში ჩამაგდე, ის მირჩევნია, რაც უნდა იყოს, ცოტა შეჩვეული ვარო.

მაგრამ მელიას ამის გაგონებაც არ სურდა. წაათრია კუ ღელესთან და ჩაყო წყალში

კუმ იყვირა:

— ხელი უშვი მაგ ფესვს და კუდით დამიჭირე! ხელი უშვი მაგ ფესვს და კუდით დამიჭირეო!

მელიამ უთხრა:

— რა ფესვი! მე შენი კუდი მიჭირავს, ფესვი კი არაო!

მაგრამ კუ ისევ გაჰყვიროდა:

— ჩქარა დამიჭირე, თორემ დავიხრჩობი! ვიხრჩობი, ვიხრჩობი! ხელი უშვი მაგ ფესვს და კუდით დამიჭირეო!

ადგა და მელიამაც გაუშვა თათი მის კუდს. კუ წყლის ფსკერისკენ წავიდა — ბუყ-ბუყ-ბუყ-ბუყ-ჭყლუმპ!

ვერავითარი ასოებით ვერ გამოხატავ იმ ბგერებს, რაც ბიძია რიმუსის ყელიდან ამოდიოდა. ეს იყო ისეთი უცნაური ხმები, რომ ბიჭმა ჰკითხა:

— როგორ წავიდა, როგორ წავიდა ფსკერისკენ?

— ბუყ-ბუყ-ბუყ-ბუყ-ჭყლუმპ!

— და დაიხრჩო, ბიძია რიმუს?

— ვინ? ძამია კუ? შენ იხრჩობი ხოლმე, დედა რომ საწოლში გაწვენს?

— აა-რაა! — დაფიქრებით უპასუხა ჯოელმა.

— ჰოდა, არც ძამია კუ დამხრჩვალა, იმიტომ რომ წყალი მისი სახლია, მეგობარო.

როგორ ჩავარდა მგელი გასაჭირში

ბიძია რიმუსი ლანჩას აკერებდა თავის ფეხსაცმელს, ბიჭი კი არ ისვენებდა, ხან ჩაქუჩებს წაეტანებოდა, ხან დანებსა და მახათებს. მოხუცი მოიღუშა კიდეც, თითქოს ბრაზობსო. ამიტომ ბიჭმა სკამზე მოიკალათა და მშვიდად დაუწყო ცქერა, როგორ აჭედებდა ლანჩაში ლურსმნებს.

— ვინც ყველას თავს აბეზრებს და ცხვირს იქ ყოფს, სადაც მისი საქმე არ არის, ყო-ველთვის შერცხვენილი დარჩება და ხათაბალაში გაებმება. აი, მაგალითად, მგელი. რა იქნებოდა, რომ წყნარად ყოფილიყო, თავი არავისთვის მოებეზრებინა? არა, მაინ-ცდამაინც მელიას დაუმეგობრდა და ორივენი კი კურდღელს გადაეკიდნენ! პირდა-პირ მოსვენებას არ აძლევდნენ და საქმეც ცუდად დამთავრდა: ისეთ უბედურებაში ჩავარდა მგელი, უარესი არ შეიძლება.

— ნუთუ მართლა, ბიძია რიმუს? მე კი მეგონა, მგელმა კურდღელს თავი გაანება იმის შემდეგ, — გახსოვს? — მელია მოკვდაო, რომ მოიგონა!

— გირჩევნია, ნუ მაწყვეტინებ, თორემ, სადაცაა, დედაშენი დაგიძახებს დასაძი-ნებლად, შენ კიდევ გაჭირვეულდები და სწორედ იმ ქამარს იგემებ, ერთხელ მამაშენს რომ გავუკეთე!

ჯოელმა გაიცინა. ბიძია რიმუსმა კი, რომ დაინახა, ბიჭმა პირში წყალი ჩაიგუბაო, მოყოლა განაგრძო:

— ძამია კურდღელს დღე და ღამე მოსვენება არა ჰქონდა. შიშით სახლიდან ერთი წუთითაც ვერ გასულიყო: მგელი მაშინვე წაიყვანდა ერთ-ერთ ბაჭიას.

ჩალის სახლი აიშენა, დაუნგრიეს. ფიჭვის კენწეროებისა აიშენა, არც ეს გაუჩერეს დიდხანს. ქერქისასაც ცუდი დღე დაადგა. რამდენჯერაც სახლი დაურბიეს, იმდენ-ჯერ თითო ბაჭია დაეკარგა. იქამდე მივიდა კურდღელი, მთლად გაცოფდა და მოჰყვა ლანძღვა-გინებას.

წავიდა და კალატოზები მოიყვანა. კალატოზებმა ფიცრის სახლი დაუდგეს ქვის საძირკველზე. კურდღელი ცოტა დამშვიდდა. ახლა უკვე შეეძლო შინიდან გასვლა და ზოგჯერ მეზობლებთან ატარებდა მთელ დღეს. იქიდან რომ ბრუნდებოდა ხოლმე, ჯდებოდა ცეცხლაპირას, აბოლებდა ყალიონს და გაზეთს კითხულობდა, როგორც ოჯახის კაცს შეეფერება.

სხვათა შორის, სარდაფში ჩასაძრომიც გააკეთა, რომ ბაჭიები იქ დამალულიყვნენ, როგორც კი რამე ხმაურს გაიგებდნენ.

კარს კარგი საკეტიც გაუკეთა. მგელი მხოლოდ კბილებს აკრაჭუნებდა — აღარ იცოდა, თავი რით ერჩინა. ბაჭიები ძალიან მშიშარები იყვნენ, კურდღელი კი ისე გა-გულადდა, ესმოდა, მგელი გვერდით რომ ჩაურბენდა ხოლმე და ზურგზე ჭიანჭვე-ლები აღარ უვლიდა.

ერთხელ, როგორღაც, ენოტის მოსანახულებლად დააპირა წასვლა და უცბად გზი-დან საშინელი ხმაური და ტყაპატყუპი შემოესმა. ყურების დაცქვეტაც ვერ მოასწრო, რომ ოთახში მგელი შემოხტა. ბაჭიები წამსვე სარდაფში ჩაცვივდნენ.

მგელი მთლად ჭუჭყში იყო ამოსვრილი და სულს ძლივს ითქვამდა.

— მიშველე, მიშველე, ძმობილო, შემიბრალე, მიხსენი! ძაღლები მომდევენ ფეხ-დაფეხ, კინაღამ გამგლიჯეს. გესმის, როგორ მორბიან? დამმალე სადმე, ძმობილო, რომ ვერ მიპოვონო! — შეევედრა კურდღელს.

— რა გაეწყობა, აგერ, დიდი ყუთი დგას, ჩახტი შიგ და ისე იყავი, როგორც საკუ-თარ სახლშიო, — უთხრა კურდღელმა.

ჩახტა მგელი ყუთში, დაჯახუნდა სახურავი, გაჩხაკუნდა საკეტი და — გამოემ-წყვდა მგელი შიგ. კურდღელმა კი წამოიცვა ცხვირზე სათვალე, მიაჩოჩა სავარძელი ცეცხლთან და გახსნა სათუთუნე. დიდხანს იჯდა ასე, იჭმუხნიდა შუბლსა და ფიქ-რობდა და ფიქრობდა.

ამ დროს მგელი გამოეხმაურა ყუთიდან:

— ძმობილო, ძაღლები წავიდნენო?

— არა, ერთი აქვე, კუთხეში დასუნსულებსო.

მერე აიღო კურდღელმა ჩაიდანი, აავსო წყლითა და შემოდგა ცეცხლზე.

— რას აკეთებ, ძმობილოო?

— ჩაი მინდა, მოგართვაო.

აიღო ბურღი და დაიწყო ყუთის სახურავის დაბურღვა.

— რას აკეთებ, ძმობილო კურდღელოო?

— სახურავს ნახვრეტებს ვუკეთებ, რომ სული არ შეგიგუბდესო.

კურდღელი წავიდა, მოიტანა შეშა და შეყარა ცეცხლში.

— რას აკეთებ, ძმობილო კურდღელოო?

— დიდ ცეცხლს ვანთებ, რომ არ გაიყინოო.

ჩავიდა კურდღელი სარდაფში და ამოიყვანა თავისი შვილები.

— რას აკეთებ, ძმობილო კურდღელოო?

— არაფერს, აი, შვილებს ვუყვები, როგორი კარგი მეზობელი ხარო.

ბაჭიებმა თათები მიიჭირეს პირზე, რომ არ გასცინებოდათ. კურდღელმა კი აიღო ჩაიდანი და მიაქივლა ცხელი წყალი ყუთის სახურავზე.

— ეს რა ხმაურია მანდ, ძმობილო კურდღელოო?

«— ეს — ქარი სტვენს მილშიო.

წყალმა კი შიგნით ჩააღწია.

— ვინ მწიწკნის, ძმობილო კურდღელოო?

— რწყილები გკბენენ, ძმობილოო.

— ოჰ, რა ძალიან იკბინებიანო.

— მეორე გვერდზე გადაბრუნდიო!

— რაღაცა მწვავს, ძმობილო კურდღელოო!

— ეს სულ რწყილები არიან, რწყილებიო!

— მთლად შემჭამეს, ძმობილო კურდღელოო! — შესჩივლა მგელმა.

ცხელი წყალი კი ნახვრეტში — შშხხ... — მიშხუის.

უცბად ერთი ისე შეჰღმუვლა მგელმა და ისე ახტა, რომ ყუთს საკეტი ასწყდა და კურდღელი სახურავიდან ყირამალა წამოვიდა.

ამოხტა მგელი და, გაგიხარია, მოკურცხლა!

იმის შემდეგ კურდღელი აღარავის შეუწუხებია, ცხოვრობდა მშვიდად და წყნარად.

მგელს კი მასთან შეხვედრისას მაშინვე ახსენდებოდა, როგორ კბენდნენ რწყილები ყუთში, და კუდამოძუებული აუქცევდა ხოლმე გვერდს.

ძამია მელია და ბაყაყები

როცა მეორე დღეს ჯოელმა ძველ ქოხთან მიირბინა და შორიდანვე შესძახა: «დილა მშვიდობისა, ბიძია რიმუსო!» — მოხუცმა მხოლოდ ეს უპასუხა:

— ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ!

ბიჭს ძალიან გაუკვირდა:

— რა თქვი, ბიძია რიმუს?

— ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ! ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ!

— რას ნიშნავს?

— ეს კუს ენაზეა, ძმობილო... ჩემი ხნისა რომ მოიყრები და იმდენ რამეს ნახავ, რაც მე ჩემს სიცოცხლეში მინახავს, შენც გაიგებ ყველა ცოცხალი არსების ენას.

— აგერ, იქ ერთი ვირთხა ცხოვრობს. ყველა რომ დაწვება დასაძინებლად, ხანდახან გამოდის ხოლმე, ჯდება კუთხეში და ვმასლაათობთ. რა თქმა უნდა, რასაც ის ლაპარაკობს, იმას «დედაენაში» ვერ ნახავ. სწორედ ახლა გამახსენდა, რა უთხრა კუმ მელიას, როცა მელიამ მის კუდს თათი გაუშვა.

— რა უთხრა, ბიძია რიმუს?

— აი, სწორედ ეს უთხრა: ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ! —ჩაყვინთა ტბის ფსკერზე და იქიდან ბუშტებით ამოსძახა: ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ!

მელიამ არაფერი უპასუხა. ტბის პირას ბაყაყი იჯდა, გაიგონა კუს ნათქვამი და პასუხად ეს გადასძახა:

— ჯაგ-ერ-რომ-კომ-დომ! ჯაგ-ერ-რომ-კომ-დომ!

ამის თქმა იყო და, რაც ტბის პირას ბაყაყები იყვნენ, ყველანი აყიყინდნენ:

— ღრმა-არ-არის! ღრმა-არ არისო!

დაიკო ბაყაყი კი ყველაზე ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— მატყუ-არე-ბი! მატყუ-არე-ბიო!

კუმ ისევ ბუშტები ამოუშვა:

— ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ!

ბაყაყები უფრო აყვირდნენ:

— ჩაყლუ-პუნდი ტბაში! ჩაყლუ-პუნდი ტბაშიო!

— დაიკო ბაყაყი კი ყველაზე ხმამაღლა ყვიროდა: შიგ_სხვა_მელა—კუდაა! შიგ—სხვა—მელა—კუდაა!

ჩაიხედა მელიამ წყალში და დაინახა, რომ შიგ, მართლაც, სხვა მელია იჯდა.

გადაიხარა მელია, რომ მისთვის ხელი ჩამოერთმია, და ჩაყლუპუნდა ტბაში.

ბაყაყებმა ერთხმად შემოსძახეს:

— ჩაყლუ-პუნდა! ჩაყლუ-პუნდა! ჩაყლუ-პუნდაო!

კუმ კი ისევ ბუშტები ამოუშვა:

— ჰაი-დუმ-ერ-ჯერ-ქომ-მერ-ჯერ!

— მერე, დაიხრჩო, მელია, ბიძია რიმუს?

— დახრჩობით არ დამხრჩვალა, ჩემო ბიჭიკო, როგორც იქნა, ამოხოხდა ტბიდან. ერთი წუთით რომ დაეგვიანა, ფსკერისკენ გააქანებდა კუ და ძამია მელიას აღსასრულიც დადგებოდა, — მიუგო მოხუცმა.

როგორ ინადირა მელიამ და ნანადირევი კი კურდღელს დარჩა

მელიას ყურამდე მივიდა, როგორ ასწავლა კურდღელმა ჭკუა მგელს, და გაიფიქრა: «ემანდ, მეც რამე უბედურებაში არ გავეხვიო, ჯანდაბას, თავს გავანებებო».

მას შემდეგ ხშირად ხედავდნენ ერთმანეთს და ბევრჯერ შეეძლო მელიას კურდღლის დაჭერა, მაგრამ მაშინვე მგელი ახსენდებოდა და კურდღელს თავს ანებებდა.

წარმოიდგინე, თანდათან დამეგობრდნენ კიდეც. ხანდახან მელია სტუმრადაც კი ეწვეოდა ხოლმე; დასხდებოდნენ ორივენი და ისე აბოლებდნენ ჩიბუხს, თითქოს ერთმანეთის მტრობა თავის დღეში გულშიაც არ გაუვლიათო.

ერთხელაც ასე ეწვია მელია კურდღელს და ჰკითხა, სანადიროდ ხომ არ წამოხვალო. კურდღელს დაეზარა და მელიას უთხრა:

— ერთი თევზი მაქვს გადანახული და როგორმე იოლას გავალო.

მელიამ უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მე მაინც წავალ, მარტოკა ვცდი ბედსო. — და წავიდა.

მთელ დღეს ნადირობდა მელია და ძალიან იღბლიანადაც — ჩანთა პირამდე აავსო ნანადირევით.

საღამო ხანს კურდღელი ადგა, გაიზმორა, სახსრებში გაიშალა და თავისთვის თქვა: მელიას დაბრუნების დროა უკვეო.

შედგა კუნძზე და გაიხედა, ხომ არავინ მოჩანსო.

სად იყო, სად არა, მელია გამოჩნდა, მოდიოდა და მთელი ხმით მოიმღეროდა.

ჩამოხტა კურდღელი კუნძიდან, გაიშოტა შუა გზაზე და თავი მოიმკვდარუნა. გამოიარა მელიამ და დაინახა, რომ შუა გზაზე კურდღელი იწვა. მივიდა, გადმოაბრუნა, დაათვალიერა და თქვა:

— რომელიღაც მკვდარი კურდღელი გდია. ეტყობა, კარგა ხნის მკვდარია. მაგრამ მსუქნად კია. ასეთი მსუქანი არც მინახავს თავის დღეში. ეს კია, რომ ძალიან დიდი ხნის მკვდარია და მეშინია, არ მაწყინოსო.

კურდღელს კრინტი არ დაუძრავს. მელიამ ტუჩები გაილოკა, მაგრამ იქაურობას გაშორდა, კურდღელი მიატოვა.

როგორც კი თვალს მიეფარა, კურდღელი წამოხტა, ტყე-ტყე გაიქცა და ისევ გაიშოტა იმ გზაზე, სადაც მელიას უნდა გაევლო.

გამოიარა მელიამ. ხედავს, კიდევ ერთი მკვდარი და ხესავით გაშეშებული კურდღელი გდია გზაზე. მელია ჩაფიქრდა. მერე მოიხსნა სამონადირეო ჩანთა და თქვა:

— დახე ერთი! ეს მეორე! დავდებ ჩანთას და იმ კურდღლისთვის გავიქცევი. ორივეს წავიღებ შინ. წარმომიდგენია, როგორ შეშურდება ყველას და იტყვიან: მონადირეც ამას ჰქვიაო!

მიაგდო ნანადირევი ბუჩქის ძირას და გაიქცა პირველი კურდღლის წამოსაღებად.

როგორც კი თვალს მოეფარა, კურდღელი წამოხტა, დაავლო ხელი მის ჩანთას და მოუსვა შინისკენ.

მეორე დღეს, მელიას რომ შეხვდა, შეეკითხა:

— რა მოიხელთე გუშინო!

— ცოტაოდენი ჭკუა მოვიხელთე, ძმობილოო!

კურდღელმა გაიცინა:

— რომ მცოდნოდა, მაგისთვის მიდიოდი, ცოტას ჩემსას გინაწილებდიო.

რატომ აქვს ოპოსუმს უბეწვო კუდი

ერთხელ ოპოსუმს ისე მოშივდა, ისე მოშივდა, რომ, ალბათ, ერთ მუჭა ფინიკში ყველაფერს გაიმეტებდა. ოპოსუმი საშინელი ზარმაცი იყო, მაგრამ ახლა მუცელი ისე უყმუოდა და აწუხებდა, რომ ადგა და საჭმლის საშოვნელად გასწია. და, როგორ გგონია, ვინ შეხვდა გზაში? ვინ და, რა თქმა უნდა, კურდღელი!

ისინი გულითადი მეგობრები იყვნენ, რადგანაც ოპოსუმი კურდღელს არასოდეს არაფერს აწყენინებდა ხოლმე.

დასხდნენ ორივენი გვერდიგვერდ გზის პირას და მოაყოლეს იმ მთისა და ამ მთისა. ამ ლაპარაკში ოპოსუმმა ისიც თქვა, ლამისაა, შიმშილით მოვკვდეო.

კურდღელი შეხტა და ხელი ხელს შემოჰკრა: მე კი სწორედ ისეთი ადგილი ვიცი, სადაც მშვენიერ ფინიკს ვიშოვითო.

— სადაო? — ჰკითხა ოპოსუმმა.

— ძამია დათუნიას ბაღშია თავსაყრელადო, — უპასუხა კურდღელმა.

— ბიძია რიმუს, ჰქონდა კი დათვს ფინიკის ბაღი? — იკითხა ბიჭმა.

— ჰქონდა, მაშ! იმიტომ, რომ ძამია დათუნია ფუტკრის თაფლით იკვებება. ჰოდა, ადგა და ეზოში ფინიკის ხეები დარგო: ამ ხეებთან ფუტკრები მოფრინავდნენ, დათუნია კი უთვალთვალებდა, საით გაფრინდებოდნენ ბაღიდან, თვითონაც მისდევდა და თაფლით სავსე ხის ფუღუროებს პოულობდა. მაგრამ მთავარი ეს არ არის. რაკი ვამბობ, რომ ბაღი ჰქონდა-მეთქი, მაშასადამე, ჰქონდა. ჰოდა, ოპოსუმმა სულ ნერწყვის ყლაპვა დაიწყო, როგორც კი ამ ფინიკების ამბავი გაიგონა.

კურდღელმა სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ოპოსუმი წამოხტა და დათვის ბაღისკენ გაკურცხლა. მიირბინა და ყველაზე მაღალ ფინიკის ხეზე აცოცდა.

მაგრამ კურდღელს სეირის ცქერა მოუნდა, ადგა, ხელად მიცუნცულდა დათვის სახლთან და ყვირილი ატეხა: ფინიკზე ვიღაცა აპარულაო. გამოენთო დათვი სახლიდან და ბაღისკენ გავარდა.

ოპოსუმს სულ ეჩვენებოდა, დათვი მოდისო, მაგრამ თავის თავს ეუბნებოდა:

— ერთსაც შევჭამ და მოვუსვამ აქედან, ერთსაც შევჭამ და მოვუსვამ აქედანო.

უცბად დაინახა, რომ დათვი მართლა მოდიოდა.

— ერთსაც შევჭამ და მოვუსვამ აქედანო, — თქვა ოპოსუმმა და დათვიც მივარდა ხესთან. მივარდა და ისე შეარხია, ოპოსუმი ყველაზე მწიფე ფინიკივით ჩამოვარდა ძირს. ჩამოვარდა, მაგრამ მოასწრო ფეხზე დადგომა და ისე დაოთხდა ღობისკენ, კარგი დოღის ცხენი გეგონებოდათ.

კვალდაკვალ დათვი მისდევდა. ის იყო, ოპოსუმი მივარდა ღობესთან, რომ დათვიც სწვდა კუდში.

ოპოსუმი ლატანებს შუა გაძვრა და კუდიც გასწია, გასწია და დათვს კბილებიდან გამოაძრო.

დათვს თურმე ისე მაგრად ეჭირა კუდი კბილებით, ოპოსუმიც ისე მაგრად ეწეოდა, რომ მთელი ბეწვი დათვს შერჩა ხახაში და, რა თქმა უნდა, დაიხრჩობოდა კიდეც, კურდღელს რომ წყალი არ მიეშველებინა.

— აი, სწორედ ამ დღიდან აქვს ოპოსუმს უბეწვო კუდი. ოპოსუმსაც და მის შვილებსაც, — თქვა ბიძია რიმუსმა და გულდაგულ გამობერტყა ჩიბუხი.

მეთევზე კურდღელი

კურდღელი და მელია ძალიან ჰგავდნენ ჩემს ნაცნობ ბავშვებს, — უთხრა ბიძია რიმუსმა ზღაპრის მოსასმენად მისულ ჯოელს და თვალი ჩაუკრა, — სულ ერთმანეთს დასდევდნენ და ყველას აწუხებდნენ, ყველას თავს აბეზრებდნენ. მხოლოდ კურდღელი ცხოვრობდა შედარებით მშვიდად, იმიტომ, რომ მელიას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა მასთან დავიდარაბის ატეხისა.

ერთხელ ძამია კურდღელმა, ძამია მელიამ, ძამია ენოტმა და ძამია დათვმა დაიწყეს ტყის ნაკვეთის გაკაფვა-გასუფთავება მუხუდოს დასათესად.

მზემ თანდათან დააჭირა და კურდღელიც დაიღალა. მაგრამ სამუშაოს თავს არ ანებებდა, ეშინოდა, ზარმაცის სახელი არ გამივარდესო. იდგა და ძირკვავდა კუნძებს და აგროვებდა ფიჩხს. მერე უცბად იყვირა: — ვაიმე, ეკალი შემესოო! — გაიპარა და ჩრდილს დაუწყო ძებნა — სიგრილეში დავისვენებო.

ამ ძებნა-ძებნაში ჭას წააწყდა. ჭაში ვედრო ეკიდა.

— მე მგონი, აქ გრილა, — თქვა კურდღელმა, — ნამდვილად ასეა, გრილა. ჩავძვრები შიგა და ცოტა თვალს მოვატყუებო.

თქვა და ჩახტა ვედროში. ჩახტა თუ არა, ვედრო ქვევით-ქვევით წავიდა.

— არ შეეშინდა კურდღელს, ბიძია რიმუს?

— შეეშინდა და მერე როგორ! ალბათ, მთელ ქვეყანაზე ასეთი შიში არავის უჭამია. საიდან მიდიოდა, კი იცოდა, მაგრამ სად მივიდოდა — ეს იყო საკითხავი!

ვედრო წყალზე კარგა ხნის დამდგარი იყო, მაგრამ კურდღელი მაინც არ ინძრეოდა, ფიქრობდა, ნეტავ რა მოხდებაო!

იწვა გასუდრული და შიშისაგან ცახცახებდა.

მელიას თურმე ცალი თვალი კურდღლისკენ ეჭირა, ის რომ საკაფიდან გაიპარა, მელია მიხვდა, რომ კურდღელი ტყუილუბრალოდ არ მიიპარებოდა, და ფეხაკრეფითა და ხოხვა-ხოხვით მიჰყვა.

მელიამ დაინახა, როგორ მივიდა კურდღელი ჭასთან და შეჩერდა. დაინახა, როგორ ჩახტა ვედროში. გაიხედა და — კურდღელი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ალბათ, მთელ ქვეყანაზე არც ერთ მელიას არ უნახავს ასეთი საოცრება!

იჯდა მელია ბუჩქებში და ფიქრობდა. ხან რა იფიქრა, და ხან რა, მაგრამ მაინც ვერა და ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. მერე თავის თავს უთხრა:

— აქედან ადგომა არ მეღირსოს, თუ კურდღელს იქ ფული არ ჰქონდეს შენახული! ან არადა, ოქროს საბადოს იპოვიდა! კაცი არ ვიყო, თუ ყველაფერი არ გავიგოო!

მიცოცდა ახლოს და სმენად იქცა, მაგრამ არაფერი ისმოდა.

უფრო ახლოს მიცოცდა — მაინც არაფერი ისმოდა.

ბოლოს მთლად ჭასთან მივიდა და შიგ ჩაიხედა — არც არაფერი ჩანდა, არც არაფერი ისმოდა.

კურდღელი კი ამასობაში ცოცხალმკვდარი იწვა ვედროში, ყურის განძრევისაც კი ეშინოდა — ვედრო არ ამობრუნდეს და წყალში არ ჩავვარდეო.

უცბად მელიას ყვირილი შემოესმა:

— შენ ჰეი, ძმობილო კურდღელო! ვისთან გაგიწევია სტუმრადო?

— მე? არავისთან. ისე, ვთევზაობ, ძმობილო! ვიფიქრე, თევზის წვნიანს გავამზადებ სადილად-მეთქი, ჰოდა, აი, ვზივარ და ვთევზაობ. მშვენიერი ქორჭილებია, ძმობილოო! — უპასუხა კურდღელმა.

— ბევრიაო?

— უამრავი, ძმობილო, უთვალავი! შენ თვითონ იფიქრე, რამდენი იქნება, მთელი წყალი ისეთ დღეშია, სულ ცოცხალსა ჰგავს. ნეტავ ჩამოხვიდე და მომეხმარო თევზის ამოზიდვაშიო.

— როგორ უნდა ჩამოვიდეო?

— ვედროში ჩახტი, ძმობილო, ისე ჩამოგიყვანს, კიბე გეგონებაო.

კურდღელი ისე მხიარულად და დაშაქრულად ლაპარაკობდა, რომ მელიას ბევრი აღარ უფიქრია, მაშინვე ჩახტა ვედროში.

ჩახტა და წავიდა კიდევაც ქვევით. კურდღელი კი ზევით ამოჰყავდა მეორე ვედროს, იმიტომ, რომ მელია უფრო მძიმე იყო. ნახევარ გზაზე რომ შეხვდნენ ნრთმანეთს, კურდღელმა დაამღერა:

— არ გაბედო და წყალში არ ჩაყვინთო, თუ არ გინდა, რომ გაიყინოო.

ამოხტა კურდღელი ვედროდან, გაიქცა და ჭის პატრონს უთხრა: ჭაში მელია ჩაძვრა და წყალს ამღვრევსო. მერე ისევ ჭასთან მივარდა და მელიას ჩასძახა:

— ვედროს ამოსწევენ და არ შეგეშინდეს, ამოხტი და მოუსვი მაშინვეო!

ჭის პატრონმა აიღო თავისი დიდი, გრძელი თოფი და სასწრაფოდ ჭისკენ გაეშურა.

მივარდა ჭასთან, ჩაიხედა შიგ და ვერაფერიც ვერ დაინახა. ყური მიუგდო — არაფერი ისმოდა. სტაცა ხელი ბაგირს და დაუწყო ვედროს ამოწევა. უცბად — სკუპ! — ერთი კი გაიქნია კუდი მელიამ და გაქრა.

— მერე რა მოხდა, ბიძია რიმუს? — ჰკითხა ბიჭმა, რადგანაც მოხუცი ზანგი ჩაფიქრდა.

— მერე? ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ კურდღელიცა და მელიაც უკვე ისე მუშაობდნენ, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო. მაგრამ კურდღელს ხანდახან მაინც წასკდებოდა ხოლმე სიცილი. მელია კი სულ იმას ჩხუბობდა — მეტისმეტად მაგარია მიწაო.

როგორ გამოათავა კურდღელმა ერბო

იყო დრო, — დაიწყო ბიძია რიმუსმა მოყოლა, თან ყავის ფინჯანი შეანჯღრია, რომ შაქარი გამდნარიყო. — იყო დრო, როცა მხეცები მეგობრულად და კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ.

ერთხელ კურდღელმა, მელიამ და ოპოსუმმა იფიქრეს, მოდი, მთელი ჩვენი ავლადიდება ერთად შევინახოთ საკუჭნაოშიო. მაგრამ საკუჭნაოს სახურავი დასძველებოდა და წყალი ჩადიოდა. გადაწყვიტეს, შეეკეთებინათ. საქმე ბევრი ჰქონდათ და ამიტომ თან სამივემ საჭმელი წაიღო, მიიტანეს სასმელ-საჭმელი და ერთად დააწყვეს, მელიას მოტანილი ერბო კი ჭაში ჩაუშვეს — არ დადნესო, და შეუდგნენ მუშაობას.

დიდი დრო გავიდა თუ ცოტა დრო, კურდღელს მუცელმა ყურყური დაუწყო — მოშივდა. თავში სულ მელიას მოტანილი ერბო უტრიალებდა. რამდენჯერაც გაახსენდებოდა, იმდენჯერ ნერწყვს ყლაპავდა.

«ცოტაოდენს მოვაციცქნიდი, მაგრამ როგორ გავიპარო აქედან?» — ფიქრობდა კურდღელი. უცებ თავი ასწია, ყურები დაცქვიტა და დაიყვირა:

— აქა ვარ, აქა! რა გინდათ?

ჩამოხტა სახურავიდან და გაქუსლა.

იქაურობას რომ გაშორდა, მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მომდევსო, და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჭისკენ მოუსვა. ამოიღო ერბო, გალოკა და ისევ სამუშაოს დაუბრუნდა.

— სად იყავი, ძმობილო? — ეკითხება მელია.

— ბალღებმა დამიძახეს. უბედურება მეწვია — ჩემი ბებერი გახდა ავადო.

განაგრძეს მუშაობა. მუშაობენ და მუშაობენ. ერბო კი ძალიან ეგემრიელა კურდღელს და კიდევ მოუნდა. ასწია თავი, ყურები დაცქვიტა და დაიყვირა:

— მესმის! მესმის! ახლავე მოვალო!

ამჯერად კურდღელმა უფრო დიდხანს უტრიალა ერბოს. რომ დაბრუნდა, მელიამ ჰკითხა:

— სად დაიკარგე ამდენ ხანსო?

— ჩემს ბებერთან მივირბინე. მთლად სულზეა მიმდგარი, საწყალიო. — კურდღელს კიდევ რამდენჯერმე მოესმა, რომ ეძახდნენ. რამდენჯერაც მოესმა, იმდენჯერ გაიქცა, გაიქცა, და ისე სუფთად მოლოკა ვედრო, რომ ძირზე თავისი თავი დაინახა. მერე გაწმინდა, გაამშრალა და თავ-პირის მტვრევით მიირბინა სამუშაოზე.

— აბა, როგორ არის ქალბატონი კურდღელიო? — ეკითხება მელია.

— მე მგონია, სული განუტევაო, — უპასუხა კურდღელმა.

და კურდღელთან ერთად მელიამ და ოპოსუმმაც მორთეს მოთქმა-ტირილი.

ამასობაში სადილობის დრომაც მოაწია. გამოალაგეს თავიანთი საჭმელ-სასმელი, მაგრამ კურდღელი დაღონებული იჯდა. მელია და ოპოსუმი ათასნაირად ცდილობდნენ, გაემხნევებინათ და ენუგეშებინათ.

— ძმობილო ოპოსუმ, შენ გაიქეცი და ჭიდან ერბო მოიტანე, — ეუბნება მელია ოპოსუმს, — მე კი მანამდე სუფრას გავშლიო.

ოპოსუმი გაიქცა ერბოსთვის, მაგრამ გაიხედეს და, ისევ უკან მორბის, თან ყურები უცახცახებს და ენა გადმოვარდნია.

მელიამ გასძახა:

— რა იყო, რა მოხდაო?

— ჯობია, თქვენც წამოხვიდეთ და ნახოთ, ერთი ნამცეცი ერბო აღარ არისო, — ამოიქაქანა ოპოსუმმა.

— მაშ სად გაქრაო! — იკითხა მელიამ.

— ეტყობა, დაშრაო, — უპასუხა ოპოსუმმა.

კურდღელმა წყნარი, სევდიანი ხმით თქვა:

— ვიღაცას ჩაუდნა პირში, აი, რა მოხდაო.

გაიქცნენ სამივენი ჭასთან, ნახეს და, მართლაც, ნამცეცი ერბო აღარ იყო. დაიწყეს კამათი —რანაირად შეიძლება, ასეთი სასწაული მოხდესო. უცბად კურდღელმა გამოაცხადა, რომ გარშემო ვიღაცის კვალია დარჩენილი და, თუ დავწვებით და დავიძინებთ, მე დავიჭერ ერბოს ქურდსო.

მართლაც, დაწვნენ. მელიას და ოპოსუმს ხელად ჩაეძინათ, კურდღელს კი არ ეძინა. ადგომის დრომ რომ მოაწია, ოპოსუმს ერბოიანი თათი მოუსვა დინგზე, თვითონ კი გაიქცა, თითქმის მთელი სადილი დანთქა, დაბრუნდა და მელია გააღვიძა:

— ნახე, ოპოსუმს მთელი ცხვირ-პირი ერბოთი არა აქვს მოსვრილიო!

შეანჯღრიეს ძამია ოპოსუმი და ეუბნებიან, ერბო შენ მოგიპარავსო. ოპოსუმი, რა თქმა უნდა, უარზე დადგა, მე არ მომიპარავსო.

მელიამ კი (მისთვის მოსამართლეობა ზედგამოჭრილი იქნებოდა), თქვა:

— შენ მოიპარე! როგორ არ მოგიპარავს? პირველი ვინ გაიქცა ერბოსთვის? პირველმა ვინ თქვა, დაიკარგაო? ვისა აქვს პირი ერბოთი მოსვრილი?

ნახა ოპოსუმმა, რომ ყველა გზა მოუჭრეს, და თქვა:

—მე ვიცი, როგორც უნდა ვიპოვოთ ქურდი: უნდა დავანთოთ დიდი კოცონი და სათითაოდ გადავხტეთ ზედ. ვინც ჩავარდება, ქურდი ის იქნებაო.

კურდღელი და მელია დაეთანხმნენ, მოზიდეს ფიჩხი, ააკოკოლავეს და ცეცხლი წაუკიდეს. კარგა დიდი კოცონი გაჩაღდა. გამოვიდა კურდღელი, ოდნავ უკან დაიწია, ისკუპა და კოცონზე ჩიტივით გადაფრინდა. მერე გამოვიდა მელია, გადგა ცოტა მოშორებით, დაიფურთხა ხელებზე, გაქანდა და — სკუპ! — ცოტა დაბლა მოუვიდა გადაფრენა, კუდის ბოლოც კი შეეტრუსა.

—გინახავს როდისმე მელია? —ჰკითხა ბიძია რიმუსმა ბიჭს.

ჯოელმა იფიქრა, მგონი, მართლაც, მინახავსო, მაგრამ არ გამოტყდა.

— ჰოდა, ამის შემდეგ, რომ ნახავ, კარგად დააკვირდი და კუდის ბოლოზე თეთრ ნიშანს შეამჩნევ, ეს ნიშანი იმ კოცონისგან დარჩა.

—ოპოსუმს რაღა დაემართა? — ჰკითხა ბიჭმა.

— ოპოსუმი გაქანდა და — სკუპ! — პირდაპირ ცეცხლში ჩახტა. ჩახტა და იქავე დაასრულა სიცოცხლე.

— მაგრამ ერბო ხომ მას სულაც არ მოუპარავს, ბიძია რიმუს? — ჰკითხა ასეთი დასასრულით უკმაყოფილო ბიჭმა.

— მართალი ხარ, შვილო! ხშირად ხდება ასე ამქვეყნად: ერთი დააშავებს და პასუხს მეორე აგებს. გახსოვს, როგორ მიუქსიე ძაღლი გოჭს? მერე, შენ ხომ არ მოგხვდა ამისათვის, ძაღლს მოხვდა!

როგორ დაამარცხა კუმ კურდღელი

გუშინ, მგონი, იმაზე ვლაპარაკობდით, რომ ძველ დროს, როცა მხეცები მეგობრულად და კეთილმეზობლურად ცხოვრობდნენ, კურდღელს ეშმაკობაში ვერავინ ჯობნიდა, არა? — ჰკითხა ბიძია რიმუსმა ჯოელს.

—დიახ, სწორედ მაგაზე ლაპარაკობდი, — უპასუხა ბიჭმა.

— ჰოდა, სულ მთლად დამავიწყდა, რომ ერთხელ ძამია კურდღელს ხელი მოეცარა და ძამია კუმ ყოყოჩობის მადა დააკარგვინა.

— როგორ დააკარგვინა, ბიძია რიმუს?

— როგორ და ასე:

ერთხელ კურდღელი გზად მიდიოდა — სკუპ-სკუპ! სკუპ-სკუპ! — და ძამია კუს შეხვდა. რა თქმა უნდა, გაიხარეს. ლაპარაკ-ლაპარაკში კურდღელმა უთხრა: ძალიან გემადლიერები იმ დღის მერე, რაც მელიას კინკრიხოზე დაახტიო.

— ჰო. შენი ბედი, რომ მოახერხე ბუხარში დამალვა, თორემ ძამია მელია ხელად დაგეწეოდა და დაგიჭერდაო, — თქვა კუმ.

— ნურას უკაცრავად, მე უფრო დავიჭერდი! უბრალოდ, არ მინდოდა, ქალბატონი მიდოუსი და მისი გოგონები მიმეტოვებინაო, — შეეპასუხა კურდღელი.

ილაპარაკეს, ილაპარაკეს და შეკამათდნენ— არა მე ვარ სწრაფი, არა — მეო. კურდღელი ეუბნებოდა: — გაგასწრებ სირბილშიო. კუ სანაძლეოს ჩამოდიოდა, მე გაგასწრებო.

დიდხანს იდავეს და იკამათეს, მერე კუმ თქვა:

— კეთილი. შინ ორმოცდაათი დოლარი მაქვს შენახული. ამ ფულს ჩამოვდივარ სანაძლეოში, რომ მე გაგასწრებო.

კურდღელმაც თქვა:

— მეც მაქვს ორმოცდაათი დოლარი და მზად ვარ სანაძლეოსთვის. მე გაგასწრებ. სანამ შენ მოხოხდები, მანამდე ქერს დავთესავ და ეს ქერი შემოვა კიდევაცო.

დადეს სანაძლეო და ფულიც დააწყვეს. კაკაჩა კი მსაჯად დანიშნეს. გადაზომეს ხუთი მილი და ყველა მილის ბოლოს ბოძი ჩასვეს.

კურდღელი შარაგზით უნდა გაქცეულიყო, კუმ კი თქვა, მე ტყე-ტყე მირჩევნიაო. ყველანი უხსნიდნენ და უმტკიცებდნენ, გზაზე უფრო იოლია სირბილიო, მაგრამ კუ ჭკვიანი იყო, იცოდა, რასაც აკეთებდა.

სეირის საცქერლად ქალბატონი მიდოუსი, მისი გოგონები და ყველა მეზობელი დაპატიჟეს.

კურდღელი ყოველდღე ვარჯიშობდა — თითქმის კუტკალიასავით ხტოდა. კუ სულ ერთთავად ჭაობში იწვა. მას ცოლი და ოთხი შვილი ჰყავდა და ყველანი გაჭრილი ვაშლივითა ჰგავდნენ. ჭოგრიტით რომ გეცქირა, ერთმანეთისაგან მაინც ვერ გაარჩევდი, შეცდებოდი.

დადგა დანიშნული დღეც. ამ დღეს კუ და მისი ცოლ-შვილი უთენია ადგნენ და დათქმული ადგილისკენ გასწიეს.

ცოლი პირველ ბოძთან დარჩა, შვილები შემდეგ ბოძებთან ჩამორიგდნენ, თვითონ კი ბოლო ბოძთან გაჩერდა.

ხალხმა თავშეყრა იწყო. მოვიდა მსაჯი კაკაჩა, მოვიდნენ ქალბატონი მიდოუსიც და მისი გოგონებიც, კურდღელიც მოცუნცულდა მთლად მორთულ-მოკაზმული: ყელზედაც ბანტი ეკეთა, ყურებზედაც. ხალხი გზის ბოლოსკენ გაეშურა, რომ ენახათ, ვინ მიირბენდა პირველი. დადგა დროც. მსაჯმა კაკაჩამ დაიძრო საათი და დაიყვირა:

— ბატონებო! მზად ხართ?

კურდღელმა უპასუხა: «დიახო! « კუს ცოლმაც უპასუხა ტყიდან: «დიახო! « კურდღელი მთელი ძალ-ღონით გაიქცა, კუს ცოლი კი ნელ-ნელა შინისკენ გაემართა. მსაჯი კაკაჩა წამოხტა და წინ გაფრინდა თვალყურის სადევნებლად, რომ ყველაფერი წესიერად ჩატარებულიყო. კურდღელმა რომ პირველ ბოძთან მიირბინა, ტყიდან კუს ერთი ვაჟიშვილი გამოხოხდა. კურდღელმა დაიყვირა:

— სად ხარ, ძმობილოო?

— მოვხოხავ, მოვხოხავო, — უპასუხა ვაჟიშვილმა.

— ჰოო? მე წინ ვარო! — შესძახა კურდღელმა და უფრო სწრაფად გაიქცა.

მიირბინა მეორე ბოძთან და კუს მეორე ვაჟიშვილი გამოხოხდა ტყიდან.

— სადა ხარ, ძმობილოო? — დაიყვირა კურდღელმა.

— მოვღოღავ, მოვღოღავ ნელ-ნელაო!

გავარდა კურდღელი ისარივით და თვალის დახამხამებაში მიიჭრა შემდეგ ბოძთან. აქაც კუს ვაჟიშვილი გამოხოხდა. მერე შემდეგ ბოძთან მიიჭრა — აქაც კუს ვაჟიშვილი იყო. ერთი მილიღა დარჩა. კურდღელი უკვე ფიქრობდა, გავიმარჯვეო.

ამ დროს კუმ გაიხედა და დაინახა, რომ მსაჯი კაკაჩა მოფრინავდა. გამოხოხდა ტყიდან, გადახოხდა თხრილზე, გაძვრა ხალხში და ბოლო ბოძს ამოეფარა.

ამასობაში კურდღელმაც მიირბინა ბოძთან, კუს ვერ ხედავდა და ამიტომ მსაჯს დაუძახა:

— ფული მე მეკუთვნის, მსაჯო კაკაჩავ, ფული მე მეკუთვნისო!

ქალბატონმა მიდოუსმა და მისმა გოგონებმა ისეთი სიცილ-ხარხარი ატეხეს, კინაღამ გული შეუწუხდათ. კუ გამოძვრა ბოძის უკანა მხრიდან და თქვა:

— ერთი სული მომათქმევინეთ, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო. ფული ხომ მე მოვიგეო!

მართალიც იყო. მიიბა კუმ საფულე კისერზე და გასწია შინისკენ, თავის ცოლშვილთან.

— ეს ხომ მოტყუება იყო, ბიძია რიმუს!

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მხოლოდ ეშმაკური ოინი იყო. პირველად მხეცებმა დაიწყეს ერთმანეთის გამასხარავება, მათგან კი ადამიანებმა ისწავლეს და იმის შემდეგ მოდის და მოდის ასე! ფხიზლად იყავი, შვილო, ვიდრე ახალგაზრდა ხარ, შენც არავინ გაგამასხარაოს! როცა თმა მოხუცი ზანგივით გაგიჭაღარავდება, მერე გაუძნელდებათ.

კურდღელი და ბეღურა

ბიძია რიმუსი მოღუშული იჯდა. ერთი-ორჯერ ამოიოხრა და ახვნეშდა კიდეც. ჯოელი მიხვდა, რომ ბიძია რიმუსი ნაწყენი იყო, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, რა აწყენინა და მოსვენება დაკარგა.

უცბად ბიძია რიმუსმა ძალზე სევდიანად, ნაღვლიანად შეხედა და ჰკითხა:

— დღეს რა ამბავი მიუტანე დედაშენს შენს ძმაზე?

— რა, ბიძია რიმუს? — ჰკითხა გაწითლებულმა ბიჭმა.

— გავიგე, რომ შენი ყბედობის გამო დედაშენი დასჯას უპირებს.

—ბიძია რიმუს, მე ხომ მხოლოდ ის ვუთხარი, რომ შენს ნივრის გალას აწვალებდა და მე კიდევ ქვა მესროლა.

— იცი, რას გეტყვი, ძმობილო, — მოხუცმა ცალუღის შეკეთებას თავი ანება. — იცი, რას გეტყვი: ენატანიაობა საძაგელი რამაა. აი, უკვე მერვე ათეული წელია, ამქვეყნად ვცხოვრობ და ერთხელაც არ მინახავს, რომ მაბეზღარასა და ჭორიკანას ცხოვრებას კეთილი ბოლო ჰქონოდეს. გახსოვს, რა დაემართა იმ ჩიტუნიას, კურდღელზე რომ ჭორაობდა?

ბიჭს არ ახსოვდა, მაგრამ ძალიან კი უნდოდა ამ ამბის მოსმენა. უნდოდა, გაეგო, რომელი ჩიტუნია იყო მაბეზღარა, ჭორიკანა და ყბედი.

— ეს იყო ერთი ხტუნია ბეღურა, — თქვა მოხუცმა. — ბეღურები ყოველთვის ეჩრებოდნენ ხოლმე სხვის საქმეში. ახლაც ასეთი ჩვეულება აქვთ. ერთგან აკენკავენ, მეორეგან დაიჟღურტულებენ და თან სულ ჭორაობენ.

ერთხელ, როგორღაც, იმის მერე, რაც კუმ აჯობა კურდღელს ეშმაკობაში, კურდღელი ტყეში იჯდა და ფიქრობდა, როგორ დავიბრუნო სახელიო. ძალიან უგუნებოდ იყო და ძალიანაც ბრაზობდა. ისე საშინლად ჩხუბობდა და ილანძღებოდა, პირ-

დაპირ, ჯობია, ზღაპარში ამაზე არც კი ვილაპარაკოთ. იფიქრა და იფიქრა, ბევრი იფიქრა, მერე უცბად წამოხტა და დაიყვირა:

— კარგი, ჯანდაბას, ისევ ძამია მელიას შევკაზმავ, ქალბატონ მიდოუსსა და მის გოგონებს ვაჩვენებ, რომ მელიას პატრონი მე ვარ, და, როგორც მინდა, ისე ვატრიალებო!

ბეღურამ გაიგონა კურდღლის ნათქვამი და დაამღერა:

— მე კიდევ მელიას ვეტყვი! მე კიდევ მელიას ვეტყვი! ჟივ-ჟივ, ვეტყვი, ჟივ-ჟივ, ვეტყვიო!

კურდღელი, ცოტა არ იყოს, შეკრთა და არ იცოდა, რა ექნა.

მერე კი მოისაზრა: ვინც პირველი მივა, მელიაც იმას დაუჯერებსო, და გაკურცხლა შინისკენ — სკუპ-სკუპ, სკუპ-სკუპ! — სად იყო, სად არა, მელიაც გამოჩნდა — ძაღლი ახსენე, ჯოხი გვერდით მოიდეო.

— ეს რა ამბავია, ძმობილო მელიავ? — დაიწყო კურდღელმა. — ამბობენ, ვითომც შენ ჩემი მოსპობა, ჩემი შვილების მოხრჩობა და სახლის დანგრევა გინდოდესო.

მელია პირდაპირ გაცოფდა სიბრაზისაგან:

— საიდან მოიგონე ეს ამბავი? ვინ გითხრაო!

კურდღელი ერთხანს განგებ ჯიუტობდა, მერე კი გამოტყდა, ბეღურამ მითხრაო.

— ეს რომ გავიგე, რა თქმა უნდა, გულმოსული ვილანძღებოდი, შენც კარგა მაგრად შემოგიკურთხეო, — უთხრა კურდღელმა.

— შენ კიდევ, მეორეჯერ ჭორს ნუღარ დაიჯერებ, — დაარიგა მელიამ და დაემშვიდობა: — აბა, კარგად იყავი მე წავედი, ძმობილოო!

დაემშვიდობა მელია კურდღელს, გაიქცა, ირბინა, ირბინა, ბევრი ირბინა თუ ცოტა ირბინა, უეცრად, სად იყო, სად არა, გზაზე ბეღურა გამოფრინდა ბუჩქიდან და დაიძახა:

— ძმობილო, ძმობილო მელია!

მელია თავისთვის მიცუნცულებდა ნელ-ნელა, ვითომ არ ესმოდა, ბეღურა კი მისდევდა და მისძახოდა:

— ძმობილო მელიავ! შეჩერდი, ძმობილო! ისეთი რამე ვიცი... ერთი მომისმინეო!

— მელია კი მაინც მირბოდა და მირბოდა, თითქოს არც სმენით ესმოდა რამე, ვერც ხედვით ხედავდა ძამია ბეღურას. მერე გზის პირას წამოწვა, ვითომც, წასაძინებლად ვემზადებიო. ბეღურა ისევ ეძახდა და ეძახდა, მელია კი კრინტს არ ძრავდა. ბეღურა სულ ახლოს დაუსკუპდა:

— ძმობილო მელიავ, იცი, რა უნდა გითხრაო!

მიიხედა მელიამ და ეუბნება:

— კუდზე დამაჯექი, ძმობილო, ცალი ყურით ყრუ ვარ, მეორით კი ცუდად მესმის. დამაჯექი კუდზეო.

დააჯდა ბეღურა კუდზე.

— მაინც არ მესმის, ძმობილო! ცალი ყურით ყრუ ვარ, მეორით კი ცუდად მესმის, დამაჯექი ზურგზეო.

დააჯდა ბეღურა ზურგზე.

— თავზე შემახტი, ძმობილო, ორივე ყურით ყრუ ვარო.

შეახტა ბეღურა თავზე.

— კბილზე დამახტი, ძმობილო. ცალი ყურით ყრუ ვარ, მეორით კი ცუდად მესმისო.

დაახტა ბეღურა კბილზე მელიას, მელიამ კი...

ბიძია რიმუსი გაჩუმდა, გააღო პირი და სწრაფად მოკუმა; მაშინვე ნათელი გახდა, რით დამთავრდა ეს ამბავი.

— გადაყლაპა ბეღურა მელიამ, ბიძია რიმუს? —მაინც ჰკითხა ბიჭმა.

— მეორე დილას გზად დათვი მიდიოდა და ბუმბულებს წააწყდა. მალე ტყეში ხმა დაირხა, ბუმ საუზმედ კიდევ მიირთვა ვიღაცაო, — დაასრულა მოყოლა ბიძია რიმუსმა.

კურდღლის ძროხა

ერთხელ მგელი თევზაობიდან ბრუნდებოდა, — დაიწყო ბიძია რიმუსმა და თან ბუხარში ცეცხლს მისჩერებოდა დაფიქრებული. — თევზების ასხმულა გადაეკიდა მხარზე და მიძუნძულებდა. უეცრად ქალბატონი მწყერი გამოფრთხიალდა ბუჩქებიდან და ზედ ცხვირწინ აუფართხუნა ფრთები. მგელმა იფიქრა: ნამდვილად უნდა, რომ თავის ბუდეს გამაშოროსო, — დაყარა თევზი და ეცა იმ ბუჩქებს, საიდანაც მწყერი გამოფრინდა.

სწორედ ამ დროს იმ ადგილას კურდღელმა გამოიარა. რაღა თქმა უნდა, კურდღელი ისეთი კაცი არ იყო, რომ გულგრილად გაევლო თევზის გვერდით.

დაბრუნდა მგელი იმ ადგილას, სადაც ასხმულა დატოვა, მაგრამ თევზი იქ აღარ დახვდა. დაჯდა, კეფა მოიფხანა, იფიქრა, იფიქრა და გაახსენდა, რომ ახლომახლო კურდღელი დახეტიალობდა, და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა მისი სახლისკენ.

— შენ ხომ ამბობდი, ბიძია რიმუს, რომ მგელს კურდღლისა ეშინოდა მას შემდეგ, რაც კურდღელმა ადუღებული წყლით დაფუფქაო? — შეაწყვეტინა ჯოელმა მოხუც ზანგს მოყოლა.

ბიძია რიმუსმა შუბლიც კი შეიკრა გაჯავრებისაგან.

— ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო! — აბუზღუნდა თავის ქნევით. — ეს ბიჭები კიდევ სულ კამათობენ და კამათობენ. მათ ჰგონიათ, რომ ყველაფერი ჩვენზე უკეთესად იციან, მოხუცებზე უკეთესად.

—შენ თვითონ არ ამბობდი, ბიძია რიმუს?

მაგრამ მოხუცი ბიჭს არ უყურებდა, თითქოს არც კი ესმისო. დაიხარა და სკამის ქვეშ, ტყავის ნაკუწებში მოაფათურა ხელი, თან სულ ბუზღუნებდა.

— პირდაპირ ხათაბალები არიან ახლანდელი ბავშვები, გგონია, რომ პატარები არიან, ისინი კი, აჰა! — ამ დროს სკამის ქვემოდან ღვედისგან დაწნული ლამაზი შოლტი გამოაძრო, შოლტს ბოლოში წითელი ფოჩი ჰქონდა. — აი, ეს შოლტი გავაკეთე ერთი ბიჭისთვის, მაგრამ ის უკვე გაიზარდა, ყველაფერი ჩემზე კარგად იცის!.. რაღად უნდა შოლტი!… მეტი რა გზაა, ავდგები და სხვას მივცემ.

ჯოელს თვალები ცრემლებით აევსო და ტუჩები აუთრთოლდა.

ბიძია რიმუსი მაშინვე მოლბა.

— კარგი, კარგი, შვილო, — თქვა და ხელზე მიეალერსა. — არ გაუბრაზდე მოხუც ბიძია რიმუსს. რაზე ვლაპარაკობდით? ჰო, როგორ დაეკარგა მგელს თევზი და მოკურცხლა კურდღლის სახლისკენ.

მოკურცხლა და მიირბინა კიდეც, მაგრამ კურდღელს გაგონებითაც კი არ გაეგონა თევზის ამბავი.

მგელი უყვიროდა:

— ნუ უარობ, ძმობილო კურდღელოო!

კურდღელი თავისაზე იდგა:

— მე არაფერიც არ ვიციო.

მგელი მაინც გაიძახოდა:

—შენს მეტი ჩემს თევზს არავინ მოიპარავდაო!

კურდღელმა ახლა კი იწყინა:

— რაკი ასეა, რაკი დარწმუნებული ხარ, რომ მე მოვიპარე შენი თევზი, ჩემი ძროხებიდან რომელიც გინდა, წაიყვანე და დაკალიო.

მგელმა — სიტყვა სიტყვააო, — წავიდა საძოვარზე და დაკლა კურდღლის ყველაზე კარგი ძროხა. კურდღელს ძალიან ეძნელებოდა და ემწარებოდა თავისი ძროხის დაკარგვა, მაგრამ ერთი ოინი მოიფიქრა და შვილებს წასჩურჩულა:

— ნუ წუხხართ, ბალღებო, ხორცი ჩვენი იქნებაო!

მერე კისრისტეხით მიირბინა მგელთან და შესძახა:

— გარშემო სულ მონადირეები დაძრწიან, გაიქეცი, დაიმალე, ძმობილო, მე კი ცოტა ხანს აქ დავრჩები, ძროხას ვუყარაულებო.

მოჰკრა თუ არა მგელმა ყური, მონადირეები დაძრწიანო, იმწამს ბუჩქებში შერგო თავი.

კურდღელმა კი ფაცხაფუცხით გაატყავა ძროხა, ტყავი დაამარილა, ხორცი კი თავის საბოლველში ჩამოკიდა.

მერე აიღო ძროხის კუდი და თავით მიწაში ჩაარჭო. ყველაფერი რომ მოათავა, მგელს დაუძახა:

— ჩქარა, ძმობილო, ჩქარა გამოიქეცი! შენი ძროხა მიწაში მიძვრება. ჩქარა გამოიქეციო!

მგელმა მიირბინა და რას ხედავს — დამჯდარა კურდღელი და ხელი ჩაუვლია ძროხის კუდისათვის, რომ მიწაში არ გაექცეს.

მიეშველა მგელი კურდღელს და ორივემ გამოსწიეს კუდი. გამოსწია და ამოაძრეს მიწიდან.

კურდღელმა დახედა კუდს და თქვა:

— რა საწყენია, კუდი მოსწყდა და ძროხა კი წავიდაო!

მაგრამ მგელს არ უნდოდა თავისი ქონების დაკარგვა, აიღო ძალაყინი, თოხი, ნიჩაბი და თხრა დაუწყო, რომ ძროხა ამოეთხარა, კურდღელი კი იჯდა თავის სახლთან, მიწაყრილზე და სიგარას აბოლებდა. რამდენჯერაც მგელი თოხს დაჰკრავდა, იმდენჯერ კურდღელი თავის შვილებს წასჩურჩულებდა:

— თხრის, თხრის და თხრის, ხორცი სად არის? თხრის, თხრის და თხრის, ხორცი სად არისო?

სად იყო და, უკვე საბოლველში ეკიდა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს შემწვარი ხორცით პირს იგემრიელებდნენ კურდღელი და მისი შვილები.

— ახლა კი, შვილო, აიღე ეს შოლტი და გაიქეცი შინ. შეგიძლია, დედაშენს უთხრა, რომ ამ შოლტით აგაჭრელოს, როგორც კი შაქრის ქილაში ჩაძვრები, — დაუმატა მოხუცმა.

პაწია ბაჭიების ზღაპარი

ძამია კურდღელს ისეთი კარგი შვილები ჰყავდა, ყოველთვის ყველაფერს უჯერებდნენ დედას და მამას. მამა რომ იტყოდა: «დაწექითო!» — წვებოდნენ. დედა რომ იტყოდა: «გაიქეცითო!» — გარბოდნენ.

სახლს არასოდეს არ ანაგვიანებდნენ და ცხვირიც ყოველთვის მშრალი ჰქონდათ.

ჯოელმა უნებურად გაისვა სახელო ცხვირის წვერზე.

— ძალიან კარგი ბავშვები იყვნენ, — განაგრძობდა მოხუცი. — გაუგონრები რომ ყოფილიყვნენ, ადრევე დაიღუპებოდნენ, ჯერ კიდევ მაშინ, მელია რომ შეიპარა მათ სახლში.

— როგორ მოხდა, ბიძია რიმუს?

— პაწია ბაჭიების მეტი შინ არავინ იყო. კურდღელი ბოსტანში მუშაობდა, მისი ცოლი კი მეზობელთან იყო რაღაცისთვის გადასული, ბაჭიები ქერიჭამიაობის თამაშში იყვნენ გართულები, როცა სახლში მელია შევიდა.

ბაჭიები ისეთი მსუქნები იყვნენ, რომ მელიას პირწყალი მოუვიდა. მაგრამ შეფიქრიანდა, უმიზეზოდ ხელი როგორ ვახლოო.

ბაჭიებს კი შიშისაგან კინაღამ გულები დაუსკდათ. ერთმანეთს მიეკვრნენ, დასხდნენ და თვალებდაჭყეტილები მიაჩერდნენ. მელია იჯდა და ფიქრობდა, რაზე შევედავო, რომ ყველა შევყლაპოო. უცბად დაინახა, კუთხეში შაქრის ლერწმის დიდი ჯოხია მიყუდებული. ჩაიწმინდა ხმა და თავხედურად ბრძანა:

— თქვენ ეი, ყურგრძელებო! აი, იმ ჯოხიდან ცოტაოდენი ჩამომიტეხეთო.

ბაჭიები თვალის დახამხამებაში ეცნენ ლერწამს, დაუწყეს ჯაჯგური აქეთ-იქიდან, იყვნენ ერთ ჭაპანწყვეტასა და ოფლის ღვრაში, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ერთი ციცქნაც ვერ ჩამოატეხეს. მელია კი, ვითომც არც კი უყურებდა. ხანდახან დაჰყვირებდა:

— აბა, ცოცხლად, ცოცხლად! დიდხანს უნდა გელოდოთო?

ბაჭიებიც უფრო გულდაგულ უტრიალებდნენ ჯოხს, ხან აქედან მიუდგნენ, ხან იქიდან, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს.

უცბად გაიგონეს, რომ პატარა ჩიტი გალობდა სახლის სახურავზე. ჩიტი ასეთ სიმღერას მღეროდა:

ყველამ ერთად კბილით ხარით,
ყველა ერთად მიესიეთ;
გადახარით, გადმოხარით,
მოღრღენით და მოამტვრიეთ!

ბაჭიებს გაუხარდათ და დაიწყეს ჯოხის ღრღნა. მელიამ ფეხზე წამოხტომაც ვერ მოასწრო, რომ მათ უკვე ტკბილი ლერწმის მოზრდილი ნატეხი მიუთრიეს.

ზის მელია და ისევ ფიქრობს, ახლა რაღაზე შევედავო, რომ პაწია ბაჭიების შეჭმა შევძლოო. უცბად წამოხტა, ჩამოიღო კედლიდან ცხრილი და იყვირა:

— თქვენ ეი, ყურგრძელებო! გაიქეცით წყაროზე და ამ ცხრილით წყალი მომიტანეთო!

ბაჭიები კისრისტეხით გაცვივდნენ წყლისთვის. ამოიღებენ ცხრილით წყალს — გასდის, ამოიღებენ — გასდის.

დასხდნენ და დაიწყეს ტირილი. ხეზე კი ერთი ჩიტი იჯდა. ამ ჩიტმა უცბად სიმღერა დაიწყო. აი, რას მღეროდა ჩიტი:

დაჩვრეტილი არის ცხრილი,
გაუგლისეთ თიხით ძირი.
აბა, მალე, აბა, მალე,
აავსეთ და მიუტანეთ!

წამოხტნენ ბაჭიები, გალესეს თიხით ცხრილი, რომ წყალი არ გასვლოდა, და მიუტანეს წყალი მელიას. მელია კი გაბრაზდა, წაჰკრა ფეხი დიდ მორს და თქვა:

— თქვენ ეი, ყურგრძელებო! ჩქარა შეუკეთეთ ეს მორი ცეცხლსო!

დაიწყეს ბაჭიებმა მორის გარშემო ხტუნვა. ბევრი იხვნეშეს და ივაგლახეს, მაგრამ ვერა და ვერ ასწიეს. სწორედ ამ დროს ღობეზე ჩიტი ამღერდა. და, აი, რა სიმღერა იმღერა:

მომისმინეთ, იცოდეთ, როგორ მიაქვთ მორები:
უნდა აწონ-დაწონოთ ჭკუითა და გონებით —
ააგორეთ, წაიღეთ ასე გორებ-გორებით!

ის იყო, მიაგორეს მორი ცეცხლთან, რომ მათი მამაც მოცუნცულდა, ჩიტი კი გაფრინდა. მელიამ დაინახა, რომ არაფერი გამოუვიდა და:

—ჩემი წასვლის დროა, ძმობილო, ერთი წუთით შემოვირბინე, მენახა, როგორ იყავითო, — უთხრა მამა კურდღელს.

— რა გეჩქარება, ძმობილო, დარჩი, ერთად წავიხემსოთ, ძმობილ მგელს კარგა ხანია, ჩემთან აღარ გამოუვლია, საღამოები კი გადიდდა და საშინლად მოწყენილი ვარო, — მიუგო კურდღელმა.

მაგრამ მელიამ მაგრად შეიკრა საყელო და შინისკენ წაჩანჩალდა.

— შენც გირჩევნია, შინ გაიქცე, შვილო, იმიტომ, რომ დედაშენი დიდი ხანია, ფანჯრიდან იყურება — თავის ბიჭს ელოდება.

კურდღელი და დათვი

ერთხელ მელიამ ცერცვის დათესვა მოიწადინა, — დაიწყო ბიძია რიმუსმა, — დაიფურთხა ხელებზე, აიღო ბარი და — საქმეც გაკეთდა.

კურდღელი კი სულ იჯდა და უყურებდა, როგორ მუშაობდა. მერე ცალი თვალი მოჭუტა და თავის შვილებს უმღერა:

აბა, ჭკუით მოიქეცით,
თუ გინდათ, რომ ჭამოთ ცერცვი.
გადავძვრები ნელა-ნელა,
რას გაიგებს ჩვენი მელა!

მართლაც, როგორც კი ცერცვი შემოვიდა და მელია მივიდოდა ხოლმე თავის კვლებთან, იქ უკვე ვიღაცა იყო ნამყოფი და პირი ჰქონდა ჩატკბარუნებული.

«კურდღლის მეტი სხვა არავინ იქნებაო.» — იფიქრა მელიამ.

მაგრამ კურდღელი ისე კარგად ფარავდა თავის ნაკვალევს, რომ მელიამ ვერა და ვერ დაიჭირა.

ერთხელ, როგორღაც, მელიამ თავის კვლებს შემოუარა და ღობეში გასაძრომი იპოვა. სწორედ იქ დააგო მახე. ღობესთან რომ თხილი იდგა, მისი ტოტი გადმოღუნა, წვერზე თოკი მოაბა, თოკის მეორე ბოლოს მარყუჟი გაუკეთა და სასხლეტით გასაძრომს მიუყენა.

მეორე დილით კურდღელი ამ თავის გასაძრომში შეხტა. მარყუჟი იღლიებში ამოედო, დასხლტა სასხლეტი, თხილის ტოტი გასწორდა და კურდღელი ზევით გააქანა.

ეკიდა კურდღელი ცასა და მიწას შორის და ფიქრობდა:

« ჩავვარდები თუ არ ჩავვარდები? ჩავვარდები თუ არ ჩავვარდებიო!»

ჩავარდნისაც ეშინოდა, ჩაუვარდნელობისაც.

ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, რა ტყუილი ვუთხრა მელიასო. უცბად შემოესმა, რომ გზაზე ვიღაც მოდიოდა: თურმე დათვი ბრუნდებოდა ტყიდან — თაფლის საძებნელად ყოფილიყო წასული.

კურდღელმა გასძახა:

— როგორა ხარ, ძმობილო დათუნიაო?

დათვმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ გარშემო არავინ იყო. კიდევ მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ კურდღელი ჰკიდია ტოტზე.

— გამარჯობა, ძმობილო! შენ როგორღა ხარო?

— ისე, არა მიშავს, გმადლობ, ძმობილოო, — უთხრა კურდღელმა.

— მანდ რას აკეთებო? — ეკითხება დათვი.

— ფულს ვშოულობ, ძმობილოო.

— როგორ შოულობ, ძმობილო კურდღელოო.

— საფრთხობელად დავუდექ ძამია მელიას. ცერცვის კვლებიდან ყვავებს ვაფრთხობ. შენ კი არ გინდა, ფული იშოვოო?

— როგორ არ მინდა, ძმობილო კურდღელო! დიდი ოჯახი მაქვს, მიჭირს გამოკვებაო.

— დიდებული საფრთხობელა გამოვა შენგან, ძმობილო დათუნიაო! — უთხრა კურდღელმა.

და აუხსნა დათვს, როგორ გადაეღუნა თხილის ტოტი. არ გასულა წუთიც, რომ კურდღლის ნაცვლად დათუნია ეკიდა ცერცვის კვლების თავზე.

კურდღელი კი თავქუდმოგლეჯილი გავარდა მელიასთან. მიირბინა და შესძახა:

— ძმობილო მელიავ! ჩქარა, ძმობილო, მე გაჩვენებ, შენს ცერცვს ვინც იპარავსო!

მელიამ სტაცა ჯოხს ხელი და ორივენი ერთად გაეშურნენ ცერცვის კვლებისკენ. მიირბინეს და ნახეს, რომ ტოტზე დათვი ჰკიდია.

— აჰა! გაები, როგორც იქნაო? — შეუტია მელიამ.

და, ვიდრე დათვი პირის გაღებას მოასწრებდა, კურდღელმა ყვირილი ატეხა:

— კბილებში მოსცხე, ძმობილო მელიავ! კბილებშიო!

მელიამ მოიქნია ჯოხი და — ბახ-ბუხ! ბახ-ბუხ! — მოსცხებს და მოსცხებს.

ამასობაში კი კურდღელი გაიძურწა და ჭაობში ისე ჩაიმალა, მარტო თვალებიღა უჩანდა, — მან იცოდა, რომ დათვი მის საძებრად გამოიქცეოდა.

სად იყო, სად არა, დათვიც გამოჩნდა გზაზე. მიირბინა ჭაობთან და თქვა:

— როგორა ხარ, დობილო ბაყაყო? კურდღელი ხომ არ გინახავს აქეთ გავლილიო.

— ახლახან მირბოდაო, — უპასუხა კურდღელმა.

და დათვმა გზა განაგრძო, კურდღელი კი ამოძვრა ჭაობიდან, გაშრა მზეზე და, ვითომც აქაც არაფერიო, შინ წავიდა, თავის შვილებთან.

— დათვმა ვერ დაიჭირა კურდღელი მერე, სულ მერე?.. — ნამძინარევი ხმით იკითხა ბიჭმა.

— აბა, ჩქარა გაიქეცი დასაძინებლად, თორემ წამწამები უკვე მთლად გეწებება ერთმანეთზე! შესძახა ბიძია რიმუსმა.

ძამია დათუნია და დობილი ბაყაყი

მიამბე, ბიძია რიმუს, — გადაეკიდა ჯოელი მოხუცს, — მერე დაიჭირა დათვმა კურდღელი?

მოხუცს სიცილისაგან მთელი სახე მხიარული ნაოჭებით დაესერა.

— რა სისულელეს ამბობ, შვილო! ასეთი კაცი კი არ არის კურდღელი! აი, დათვი კი ისევ ჩავარდა გასაჭირში.

— როგორ, ბიძია რიმუს, როგორ?

— ირბინა, ირბინა დათუნიამ გზაზე, მაგრამ ნახა, რომ კურდღელი არსად ჩანდა.

—დამაცადე, დობილო ბაყაყო, მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ადამიანების მოტყუება! — დაემუქრა ძამია დათუნია. — ერთი წელიწადიც რომ გავიდეს, მაინც გაგახსენებ ამ ამბავსო!

მაგრამ არ გასულა არც ერთი წელიწადი, არც ერთი თვეც, არ გასულა ერთი კვირაც, რომ დათვი ტყიდან ბრუნდებოდა, სადაც თაფლის საძებნელად იყო წასული, და ჭაობის პირას წამოსკუპებული ბაყაყი დაინახა. გადააგდო ნაჯახი, მიეპარა ფეხაკრეფით და სწვდა თათით. მოუჭირა თათი და ეუბნება:

— როგორა ხარ, დობილო? შვილები როგორა გყავს? დღეს მე და შენ ბევრი სალაპარაკო გვაქვს და არ ვიცი, კიდევ როდის გიხილავენო.

ბაყაყმა კი არ იცოდა, რა ეპასუხა. არ იცოდა, რა ხდებოდა, და არაფერი თქვა. იყო ასე დადუმებული.

დათვი კი თავისას გაიძახოდა:

— ნუთუ დაგავიწყდა, როგორ მომატყუე, კურდღელი ახლახან აქეთ მირბოდაო? გამემასხრე, დობილო? ახლა მე გაგემასხრებიო.

ახლა კი შეეშინდა ბაყაყს და ეუბნება:

—რა დაგიშავე, ძმობილო დათუნიავ? როდის მომიტყუებიხარო?

დათვმა გაიცინა. მას ბაყაყის გამასხარავება მოუნდა:

— არა, რა თქმა უნდა, არა! შენ ხომ არ ამოგიყვია წყლიდან თავი და ხომ არ გითქვამს: კურდღელი ახლახან აქეთ მირბოდაო! რა თქმა უნდა, შენ არ იყავი. შენ ამ დროს შინ იჯექი შენს შვილებთან. არ ვიცი, სად არის შენი სახლი, მაგრამ ის კი ვიცი, ახლა სადა ხარ, დობილო ბაყაყო; კიდევ ის ვიცი, რომ ამის მერე კარგ მეზობელს ვეღარასოდეს გაასულელებო!

რა თქმა უნდა, ბაყაყს წარმოდგენაც არა ჰქონდა, რას უპირებდა დათვი, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ როგორმე სიცოცხლე უნდა შეენარჩუნებინა, თანაც სასწრაფოდ, რადგანაც დათვი უკვე კბილებს აკრაჭუნებდა.

ჰოდა, ბაყაყმა შეჰყვირა:

— ძმობილო დათუნიავ, ოღონდ ახლა გამიშვი და მეტს აღარ ვიზამო! გამიშვი, ძმობილო, და, სამაგიეროდ, მთელ ტყეში ყველაზე უფრო ბევრთაფლიან ხის ფუღუროს გაჩვენებო!

დათვი კი ისევ აკრაჭუნებდა კბილებს და დორბლი ჩამოსდიოდა.

ბაყაყიც ისევ ყვიროდა:

— გამიშვი, ძმობილო! აღარასოდეს, აღარასოდეს არ გაგაბრაზებ, ოღონდ ახლა გამიშვიო!

მაგრამ დათვმა უთხრა, სულ ერთია, შენი აღსასრული დადგაო, და იმის ფიქრი დაიწყო, როგორ დავსაჯოო. მან იცოდა, რომ წყალში ვერ დაახრჩობდა, დასაწვავად კი ცეცხლი არ ჰქონდა.

ჩავარდა საგონებელში, ხან რას ფიქრობდა, ხან რას.

უცბად ბაყაყმა ყვირილი და ტირილი შეწყვიტა და ეუბნება:

— თუ ჩემი მოკვლა გინდა, ძმობილო, ტბის პირას რომ ქვა არის, იმასთან მიმიყვანე, რომ უკანასკნელად მაინც შევხედო ჩემს შვილებს. მერე აიღე ნაჯახი და იმავე ქვას დამაკალიო.

დათვს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და დათანხმდა: დაიჭირა ბაყაყი უკანა ფეხებით, ნაჯახი მხარზე გაიდო, წავიდა და დადო ბაყაყი იმ ქვაზე. ბაყაყმა თავი ისე მოაჩვენა, ვითომ შვილებს ვუყურებო. დათვი კი იდგა, იდგა და მერე ნაჯახი აიღო. დაიფურთხა ხელებზე, მოიქნია და დასცხო ქვას: ჭახ!

მაგრამ სანამ ის ნაჯახს ასწევდა და ისევ ქვას დასცხებდა, ბაყაყმა ტბაში ისკუპა — ჭყლუპ! — გაცურდა მოშორებით და ამღერდა:

ყი-ყი-ყი-ყი, ვაშა, ვაშა!

ახლა უკვე ჩემს სახლში ვარ.

ყი-ყი-ყი-ყი, ვაშა!

— ძალიან სასაცილო სიმღერაა, — თქვა ბიჭმა.

— სასაცილოა, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ბაყაყების ენა არ ვიცით. რომ ვიცოდეთ, შეიძლება, სასაცილოდ სულაც არ მოგვჩვენებოდა, — მიუგო მოხუცმა.

როგორ დაკარგა კურდღელმა კუდი

ერთხელ…კურდღელი გზად მიდიოდა თავისი გრძელი, ფუშფუშა კუდის ქნევით, — დაიწყო ბიძია რიმუსმა, მაგრამ მოხუცი ამ სიტყვებზე გაჩუმდა და ბიჭს ცერად გახედა, რომელიც მიჩვეული იყო, რომ ბიძია რიმუსის ზღაპრებში სულ არაჩვეულებრივი ამბები ხდებოდა, ამიტომ ეს სიტყვები არ გაჰკვირვებია. მოხუცმა ისევ დაიწყო მოყოლა, ოღონდ უფრო ხმამაღლა:

— ერთხელ კურდღელი გზად მიდიოდა მედიდური და გაბღენძილი, და თავის გრძელ, ფუშფუშა კუდს მიიქნევდა.

— რას ამბობ, ბიძია რიმუს? — შესძახა ბიჭმა და თვალები დააჭყიტა. — სად გაგონილა, რომ კურდღელს გრძელი, ფუშფუშა კუდი ჰქონდეს?

მოხუცი წელში გასწორდა და ბიჭს მკაცრად შეხედა:

— თუ მოსმენა გინდა, მომისმინე, ნუკი მაწყვეტინებ! თუ არ გინდა, მე ჩემს საქმეებს მივხედავ — ყელამდე მაქვს სამუშაო დღეს!

— არა, გისმენ, ბიძია რიმუს!

— აბა, შენ იცი — ჰოდა, მიდიოდა, მაშასადამე, ერთხელ კურდღელი გზად და თავის გრძელ, ფუშფუშა კუდს მიიქნევდა. გზად შეხვდა... რა თქმა უნდა, მელია, თანაც უშველებელი თევზის ასხმულათი.

კურდღელმა ჰკითხა, სად იშოვე ასეთი მშვენიერი ასხმულაო. მელიამ უპასუხა, მე თვითონ ვითევზავეო. კურდღელმა ჰკითხა — სადაო? მელიამ უპასუხა — მდინარეშიო. კურდღელმა ჰკითხა — როგორო? — იმიტომ რომ, საშინლად უყვარდა ციმორი. ჩამოჯდა მელია მორზე და ეუბნება:

— სულ არ არის ძნელი, ძმობილო. როგორც კი მზე ჩავა, წადი მდინარეზე, ჩაყავი კუდი წყალში და გათენებამდე ასე იჯექი. ჰოდა, მთელ გროვა თევზს ამოიყვანო.

საღამოთი კურდღელი სათევზაოდ წავიდა. ციოდა და ერთი ბოთლი ღვინოც გაიყოლა. მდინარესთან რომ მივიდა, მარჯვე ადგილი ამოირჩია, ჩაცუცქდა და ჩაყო კუდი წყალში. იჯდა ასე და თან ღვინოს შეექცეოდა, რომ არ გაცივებულიყო. ამასობაში გათენდა კიდეც. ამოსწია კურდღელმა კუდი — რაღაცა გატკაცუნდა, ამოსწია მეორედ

და — სადღაა კუდი? მიიხედა კურდღელმა და — მდინარე გაყინულიყო, ყინულში კი — რაღაც ფუნჯი თუ ბეწვი, ბალახის ბღუჯა, კუდი თუ კოლბოხი ჩანდა.

მოხუცი გაჩუმდა.

— მოსძვრა კუდი, ბიძია რიმუს?

— მოსძვრა, შვილო. იმის შემდეგ თავად კურდღელიც უკუდოა, შვილებიც უკუდოები არიან, შვილიშვილებიც.

— ეს სულ იმის გამო, რომ კურდღელს კუდი ყინულზე მიეყინა?

— ასე გამიგონია, შვილო. ალბათ, უნდოდათ, რომ მამას დამსგავსებოდნენ.

როგორ გააოცა კუმ ყველა

მითხარი, ბიძია რიმუს, — მართალია, რომ კურდღელი ყველაზე, ყველაზე ეშმაკი იყო? მგელზე ეშმაკიც, ოპოსუმზე ეშმაკიცა და მელიაზე ეშმაკიც? — ჰკითხა ერთხელ ბიჭმა მოხუცებულ ზანგს და მუხლებზე დაუსკუპდა,

— ოღონდ კუზე ეშმაკი არ ყოფილა! — ჩაუკრა თვალი მოხუცმა და ჯერ ერთი ჯიბე ამოიბრუნა, მერე მეორე, რომ თამბაქოს ნაფხვენი მოეგროვებინა ჩიბუხისთვის. — ყველაზე ეშმაკი ძამია კუ იყო.

მოხუცმა გატენა ჩიბუხი და გააბოლა.

— აი, მომისმინე, — უთხრა ბიჭს. — მომისმინე, რა ეშმაკი იყო პატარა კუ. ერთხელ, როგორღაც, ქალბატონმა მიდოუსმა და მისმა გოგონებმა შაქარყინულის მოდუღება მოიწადინეს. მათი მიპატიჟებით იმდენმა მეზობელმა მოიყარა თავი, რომ იძულებულები გახდნენ, შაქარყინული დიდ ქვაბში ჩაესხათ და ცეცხლი კი ეზოში დაენთოთ.

დათვი ქალბატონ მიდოუსს შველოდა შეშის მიზიდვაში, მელია ცეცხლს უმარჯვებდა, მგელი ძაღლებს აფრთხობდა, კურდღელი თეფშებს ცხიმს უსვამდა, რომ შაქარყინული ზედ არ მიკრულიყო.

კუ კი ამვრა სავარძელში და გამოაცხადა: თვალყურს ვადევნებ, რომ ბადაგი არ გადმოვიდესო.

ისხდნენ ყველანი ერთად და ერთმანეთს არ ერჩოდნენ, რადგანაც ქალბატონ მიდოუსს ასე ჰქონდა დაწესებული: ვინც იქ მივიდოდა, ყველანაირი მტრობა უნდა დაევიწყა.

ისხდნენ ასე და საუბრობდნენ. ამასობაში კი ბადაგი აქაფდა და აჩუხჩუხდა. ისინი კი სათითაოდ თავს იქებდნენ.

კურდღელი ამბობდა: — მე ყველაზე სწრაფი ვარო. — კუ კი ქანაობდა თავისთვის სავარძელში და უთვალთვალებდა ბადაგს.

მელია ამბობდა: — მე ვარ ყველაზე ეშმაკიო. — კუ კი თავისთვის ქანაობდა სავარძელში.

მგელი ამბობდა: — მე ყველაზე მძვინვარე ვარო. — კუ კი თავისთვის ქანაობდა და ქანაობდა სავარძელში.

დათვი ამბობდა: — მე ყველაზე ღონიერი ვარო. — კუ კი ისევ ქანაობდა და ქანაობდა, მერე მოჭუტა თვალი და თქვა:

— ისე გამოდის, რომ მე, ბებერი ნაჭუჭი, ანგარიშში ჩასაგდები აღარა ვარ? ვერ მოგართვეს! ტყუილად ხომ არ დავუმტკიცე ძამია კურდღელს, რომ მასზე კარგი მორბე-

ნალებიც არიან? თუ მოვინდომე, ძამია დათუნიასაც დავუმტკიცებ, რომ ჩემთან ვერაფერს გახდებაო.

ყველამ ერთი სიცილ-ხარხარი ატეხა, რადგანაც დათვი გარეგნულად ძალიან ღონიერი ჩანს. ადგა ქალბატონი მიდოუსი და ეკითხება ორივეს: როგორ უნდა შეეჯიბროთ ღონეშიო.

— მომეცით მაგარი თოკი, მე წყალქვეშ ჩავალ და დათვმა კი სცადოს და ამომსვას იქიდანო, — თქვა კუმ.

ყველამ ისევ ხარხარი ატეხა, დათვი კი წამოდგა და იკითხა:

— თოკი რომ არა გვაქვსო?

—ჰო, არც ღონეო! — უთხრა კუმ. თან ქანაობდა და ქანაობდა სავარძელში და უყურებდა, როგორ დუღდა და თუხთუხებდა ბადაგი.

ბოლოს და ბოლოს, ქალბატონმა მიდოუსმა გამოაცხადა: რაც არის, არის — ჩემი თეთრეულის თოკს გათხოვებთ და, სანამ შაქარყინული თეფშებზე გაცივდება, შეგიძლიათ, ტბაზე წახვიდეთ და გაერთოთო.

ძამია კუ სულ ერთი ხელის დადება იყო და ამიტომ ძალიან სასაცილო ჩანდა მისი ქადილი — დათვს გადავძლევო.

ყველანი ტბისკენ გაემართნენ.

კუმ ადგილი აარჩია, თოკის ერთი ბოლო თვითონ აიღო, მეორე დათვს გაუწოდა და გამოაცხადა:

— მაშ ასე, ქალბატონებო და ბატონებო! ბატონ დათვთან ერთად თქვენ წახვალთ, აი, იმ ტყეში, მე კი აქ დავრჩები. როგორც კი დავიძახებ, დათვმა მაშინვე გასწიოს თოკი. თქვენ ყველანი თოკის იმ ბოლოს ჩაეჭიდეთ, აქეთას მარტო მე მოვუვლიო.

მართლაც, ყველანი წავიდნენ და ტბასთან მხოლოდ კუ დარჩა. კუმ ჩაყვინთა ტბის ფსკერზე, თოკი უშველებელ კუნძს მოაბა მაგრად, მერე ამოყვინთა და დაიძახა:

— გასწიეო!

დათვმა თოკი ტორზე დაიხვია, გოგონებს თვალი ჩაუკრა და გასწია.

გასწია, მაგრამ კუს ძვრა ვერ უყო. ახლა ორივე ტორით ჩაბღუჯა თოკი და გასწია, მაგრამ ისევ ვერაფერს გახდა. მაშინ შებრუნდა დათვი და თოკი მხარზე გადაიგდო — ახლა კი გავიყოლებ კუს თანო. მაგრამ ვერ მიართვეს — კუ ადგილიდანაც არ დაძრულა.

მგელმა ვერ მოითმინა და დათვს მიეშველა. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ახლა ყველა დაეჭიდა თოკს და გაიმართა ჭაპანწყვეტა. კუ კი იძახდა:

— თქვენ ეი! რატომ ეწევით ასე ცუდადო?

კუმ დაინახა, რომ თოკის წევას თავი ანებეს, — ჩაყვინთა და კუნძს შეხსნა მეორე ბოლო. და, ვიდრე ისინი ტბასთან მივიდოდნენ, ის უკვე ნაპირზე ისე იჯდა, ვითომ აქაც არაფერი მომხდარაო.

— სულ ბოლოს რომ გასწიე, კინაღამ გადამძალე, ძალიან ღონიერი ყოფილხარ, ძმობილო, მაგრამ მე მაინც შენზე ღონიერი ვარო! — უთხრა კუმ დათვს.

დათვი კი ქალბატონ მიდოუსს მიუბრუნდა და ეუბნება:

— რაღაც ნერწყვი მომადგა პირში, ნამდვილად შაქარყინული გაცივდებოდაო.

და ყველანი შეუდგნენ ჭამას. დათვმა პირი გაივსო და ხმამაღალი ხრაშახრუში აუტეხა, რომ ვეღარავის გაეგონა, როგორ დასცინოდა კუ.

მოხუცი გაჩუმდა.

— ნეტავ როგორ არ გაწყდა თოკიო... — დაფიქრებით თქვა ბიჭმა.

— გაწყდაო?! — შესძახა ბიძია რიმუსმა, — გენაცვალე, იცი, როგორი თოკები იყო მაშინ? ქალბატონ მიდოუსს ისეთი თოკი ჰქონდა, იმით თუნდ ხარს ჩამოკიდებდი!

და ბიჭმა ადვილად დაუჯერა ბიძია რიმუსს.

გარეთ უკვე მთლად ჩამობნელებული იყო, როცა ჯოელი მოხუც ზანგს მოეხვია და უთხრა:

— ღამე მშვიდობისა! რა ძალიან ბევრი ზღაპარი იცი, ბიძია რიმუს! — თან ამოიოხრა, რადგანაც არ უნდოდა მოხუცთან განშორება, — ხვალ რას მიამბობ?

ბიძია რიმუსმა ეშმაკურად გაიღიმა:

— რა ვიცი, შვილო. შეიძლება, ის გიამბო, როგორ შეაშინა თავისი მეზობლები კურდღელმა. ან ის — როგორ დაიჭირა მელიამ ძროხა. ან კიდევ ის, თუ როგორ ზრდიდა დათვი პატარა ნიანგებს. უამრავი ზღაპარია ქვეყანაზე. ახლა კი გაიქეცი. ლამაზ-ლამაზ სიზმრებს გისურვებ.